ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 15 აგვისტო 2002 №152 (1674) ფასი 50 თეთრი


## რას ჩამოიტანს რკინიგზა და რას წაიღებენ ტალინელი რუსები?



გუშინ „ეროვნულზე" ტალინელებმა ჯანიანად ივარჯიშეს

UEFA CUP

ფრთხილობს თბილისის „დინამოს" ხორვატი მწვრთნელი ივო შუშაკი — ესტონური ტვმკ კარგად გაწვრთნილი გუნდია, ჯანიან ბალტიისპირელებს კონტრშეტევა ეხერხებათო. ბატონმა ივომ თავისი საქმისა უკეთ იცის და ვინძლო, სიფრთხილე დინამოელთა შესაფუცხუნებლად სჭირდება. გუშინ თბილისს ნასტუმრები ესტონელები (რალა ესტონელები, უმეტესობა რუსია) კი მართლაც ჯანიანი ბიჭები არიან, ოღონდ „ეროვნულზე" ვარჯიშისას მათი ფეხბურთში ღრმად განსწავლულობა არ თუ ვერ გამოჩნდა. ახლა ჩვენ ის ვთქვათ, რომ უეფას თასის ამ საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა შუშაკის დამოძღვრილ „დინამოს", ალბათ, არ უნდა გაუჭირდეს. კი, ბატონო, ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა, მაგრამ ღმერთი ისე ხომ არ გაგვიწყრა, რაც ვიცოდით, ისიც დაგვავიწყდა? აი, თბილისის „ლოკომოტივს" კი ღვთის წყალობა ნაღდად არ აწყენდა. დანიური „კოპენჰაგენი" რასაც წარმოადგენს, საკუთარი თვალით გვინახავს და არც მუნდიალმოვლილი სამხრეთაფრიკელი ზუმა დაგვივიწყებია.

მოკლედ, დღეს „პარკენზე" სერგო კოტრიკაძის რკინიგზელებს დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ და ამ ბრძოლაში, ვინძლო, თავისი წონიანი სიტყვა თქვას ზაზა ჯანაშიამ, რომელზეც „კოპენჰაგენის" მწვრთნელ ჰანს ბაკეს უთქვამს, სტუმართაგან ყველაზე მეტ ხიფათს ფორვარდ ჯანაშიასგან ველითო.



ივო შუშაკი

## გერმანელებმა პარტიზანები გაანადგურეს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

### მანჩესტერმა წააგო გუნდთან, რომლის სახელი პირველად გაიგო





REUTERS

„ზალაეგერსეგი" — „მანჩესტერი" 1:0. უნგრელებმა ალექს ფერგიუსონს ენა ჩააცვნეტინეს, დევიდ ბექჰემს ხელები გააშლევინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა

### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

მილანი (იტალია) 1:0 ლიბერეცი (ჩეხეთი)
1:0 ინძაგი (68)
მილანი: აბიატი (დიდა 46), კონტრა, როკე ჟუნიორი (ლაურსენი 25), მალდინი, კალაძე, გატუზო, ამბროზინი, სერჯინიო (ზეედორფი 61), რუი კოშტა, შევჩენკო, ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
35 000 მაყურებელი

შახტარი (უკრაინა) 1:1 ბრიუგე (ბელგია)
1:0 აგაროვა (49), 1:1 სიმონსი (86პ)
გაძევება: ვან დერ ჰეიდენი (78, „ბრიუგე")

ლევსკი (ბულგარეთი) 0:1 დინამო (უკრაინა)
0:1 ჩერნატი (60)

ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 0:1 ნიუკასლი (ინგლისი)
0:1 დაიერი (55)

გრაცერი (ავსტრია) 0:2 ლოკომოტივი (რუსეთი)
0:1 ლეკხეტო (6), 0:2 ლოსკოვი (42)

პარტიზანი (იუგოსლავია) 0:3 ბაიერნი (გერმანია)
0:1 ტარნატი (21), 0:2 იერემისი (71), 0:3 პიზარო (78)
გაძევება: დულიჩი (76, „პარტიზანი")

ზალაეგერსეგი (უნგრეთი) 1:0 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
1:0 კორბალოვიჩი (89)

რუსენბორგი (ნორვეგია) 1:0 ბრონდბიუ (დანია)
1:0 ბრატბაკი (53)

სელტიკი (შოტლანდია) 3:1 ბაზელი (შვეიცარია)
0:1 ხიმენესი (2), 1:1 ლარსონი (43), 2:1 სატონი (52), 3:1 სილა (88)

ბარსელონა (ესპანეთი) 3:0 ლეგია (პოლონეთი)
1:0 დე ბური (8), 2:0 რიკელმე (80), 3:0 კოკუ (90)

სპორტინგი (პორტუგალია) 0:0 ინტერი (იტალია)



ჟელეზნიჩარი — ნიუკასლი. ინგლისელმა კირონ დაიერმა ერთხელ საგოლედაც მოიქნია

REUTERS




პარტიზანი — ბაიერნი. მასპინძლებმა ჯოვანი ელბერი ჰაერში აიგდეს

REUTERS




გრაცერი — ლოკომოტივი. მოსკოველთა პირველი გოლი სამხრეთაფრიკელი ჯეკობ ლეკხეტოსი (№4) იყო

REUTERS

### გერმანია

**ბუნდესლიგა. I ტური**

მიუნხენ 1860 0:2 ჰანზა
0:1 ვორბეკი (44), 0:2 ლანცი (54)

**სამხრეთ რეგიონალლიგა V ტური**

აინტრახტი (ფ) 0:2 ოფენბახი
ზიგენი 4:1 ნოინკირხენი
ჰოფენჰაიმი 1:3 რეგენსბურგი
კიკერსი 4:2 ბაიერნი (მ)
ელვერსბერგი 1:1 ვეჰენი
აუგსბურგი 1:1 შვაინფურტი
უნტერჰახინგი 3:1 კაიზერსლაუტერნი (მ)
დარმშტადტი 0:0 აალენი

### ინგლისი

**I დივიზიონი. II ტური**

ნოტინგემი 2:2 პრესტონი
სტოკი 0:1 ლესტერი
ვულვერჰემპტონი 3:1 უოლსოლი

### შოტლანდია

**ლიგის თასი. II ეტაპი**

ბრეჩინი 3:2 სენტ ჯონსტონი

### ბელგია

**II დივიზიონი. I ტური**

რონსე 0:2 ვარეგემი
ვიგორი 1:1 ვირტონი
სტრომბეკი 0:0 ლიეჟი
ვიზეტი 1:1 დენდერლეუ
რუზელარე 1:4 ჰეუსდენი
პატრო 1:2 გეელი
სერკლი 1:1 ეუპენი
ინგელმუნსტერი 4:1 დესელი
ტინენი 2:2 დაინცე

### ნორვეგია

**გადადებული მატჩები**

სტარტი 0:3 სოგნდალი
ვოლერინგა 1:1 ბრინი

### ფინეთი

**გადადებული მატჩი**

ტამპერე 2:0 ჰაამინლინა

### დანია

**თასი. I ეტაპი**

ფრემი 1:2 ორჰუსი

# ლუცერნი უქართველოდ არ დარჩა

## ყაველაშვილმა შვეიცარია ხუთი წლით გაიხანგრძლივა



მიხეილ ყაველაშვილი (მარჯვნივ) შვეიცარიას ხუთი წლით შემორჩა

**გუშინ** მიხეილ ყაველაშვილმა შვეიცარიულ „ლუცერნთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ყაველაშვილი, რომელიც ივნისის შემდეგ უგუნდოდ იყო, ყოფილი კლუბის, „ციურიხის" სარეზერვო გუნდში ვარჯიშობდა, სხვა უკეთესი ვარიანტი არ გამოუჩნდა და აუტსაიდერ „ლუცერნის" წინადადებას დაყაბულდა.

— დიდი ხანი უთამაშებელი ვიყავი, ევროპაში სატრანსფერო ბაზარზე ფინანსური კრიზისია და დღემდე ველოდი, რომ უკეთესი გუნდი მიმიწვევდა, მაგრამ ჩემთვის მისაღები პირობები მხოლოდ „ლუცერნმა" შემომთავაზა, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ უკეთესმა გუნდმა თუ მიმიწვია, აქ დავრჩები. ვეცდები „ლუცერნს" დავეხმარო. მით უმეტეს, რომ ხელმძღვანელობას ჩემი დიდი იმედი აქვს — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა წუხელ, როცა შვეიცარიაში დავუკავშირდით.

მიხეილ ყაველაშვილის ახალი გუნდი დღესდღეობით 7 ტურის შემდეგ 3 ქულით შვეიცარიის ჩემპიონატის A ჯგუფის აუტსაიდერია. გასული სეზონი კი „ლუცერნში" „ციურიხთან" ასევე კონტრაქტდამთავრებულმა გოჩა ჯამარაულმა ჩაამთავრა.

**კობა ინასარიძე**

# უეფას თასი

**საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი**

თბილისი. „ეროვნული". 15 აგვისტო. 20 საათი

## დინამო — ტვმკ

**ინტერტოტოსა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებს ქართული გუნდები გამოეთიშნენ და ევროტურნირებზე ახლა თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივს" მოუწევთ ბრძოლა**

# ღმერთმა ინებოს

## შუშაკი სამი ფორვარდით იქადნება და კონტრშეტევებს უფრთხის



**დინამოელებს** რკინიგზელებთან შედარებით სუსტი მეტოქე ერგოთ და ალბათ, გადალახავენ კიდეც ესტონურ ბარიერს. თუმც თანამედროვე ფეხბურთში საერთო დონის გათანაბრების ფონზე „დინამოსთვის" ტალინური ტვმკ გასეირნება ნაღდად არ უნდა იყოს.

წინა სეზონის მეორე ეტაპთან შედარებით „დინამოში" დიდი სიახლეები არ არის, მაგრამ ამ გუნდისგან მაინც ყოველთვის ბევრს ელიან და მისი ნამდვილი ძალაც ყველაზე კარგად ევროტურნირებზე გამოჩნდება.

გუშინ „დინამომ" საღამოს შვიდ საათზე ივარჯიშა, მანამდე კი ჟურნალისტებმა ივო შუშაკს გავესაუბრეთ.

— ამ სეზონში ჩვენი ერთგვარი მიზანია უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის გავლაა. ამ მატჩისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით. ტვმკ ურიგო გუნდი არ არის და აქვს შანსი ეს საკვალიფიკაციო ბარიერი გადალახოს, მაგრამ უეფას თასის შემდეგ ეტაპზე ჩვენ უნდა ვითამაშოდ. ჩვენი ერთადერთი მინუსი ტვმკ-სთან მატჩისთვის ისაა, რომ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, ლადო ბურდული არ გვეყოლება დისკვალიფიკაციის გამო. მაგრამ შევეცდებით, თბილისშივე გადაწყდეს ჩვენი პირველ ეტაპზე გასვლის საკითხი. გვსურს, რაც შეიძლება დიდი ანგარიშით მოვიგოთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოწინააღმდეგე დაცვიდან გვეთამაშება და შეეცდება, სწრაფი კონტრშეტევებით გაგვაკვირვოს.

**— „დინამო" იმავე განლაგებით ითამაშებს, როგორც პირველ ტურში „კოლხეთთან"?**

— ბურდულის პოზიციაზე ალბათ ლადო ახალაია ითამაშებს, ისიც შემტევი ფეხბურთელია. ხვალ ჩემი გუნდი სამი თავდამსხმელით გამოვა. მაგრამ მაქსიმალურად შევეცდებით, რომ მეტოქეს კონტრშეტევები არ გამოუვიდეს.

**— „დინამოს" საგოლე მომენტების გამოყენება უჭირს, ევროტურნირებზე ამას ძნელად თუ პატიობენ მეტოქეები...**

— ბედნიერი ვიქნები თუ იმდენივე საგოლე შანსი გვექნება, რამდენიც „კოლხეთთან". მომენტების რეალიზაცია შესაძლებლობებზე და ყისმათზეა დამოკიდებული. არ არსებობს მატჩი, გუნდმა ყველა საგოლე შანსი რომ გამოიყენოს. მაქსიმალურად ვეცდებით, რეალური მომენტები გოლებად ვაქციოთ.

**— მეტოქის სუსტ და ძლიერ მხარეებზე რას იტყოდით?**

— ტვმკ გამოცდილი გუნდია, ძლიერი, ტანმაღალი ფეხბურთელებით. ჭკვიანურ ფეხბურთს თამაშობს. ხვალ კი ალბათ ჩაკეტილ ფეხბურთს შემოგვთავაზებს. ფრთხილად უნდა ვიყოთ, ამ გუნდს კონტრშეტევებზე თამაში შეუძლია.

**— რამდენბურთიანი სხვაობით მოგება დაგაკმაყოფილებთ?**

— ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. თუ ერთი ბურთის სხვაობით მოვიგებთ, თანაც გოლს არ გავუშვებთ, კარგი იქნება. მიუხედავად იმისა, თუ რა ანგარიშით დამთავრდება მატჩი, ეს საბოლოო შედეგი ხომ მაინც არ იქნება. ახლა კი ხვალინდელ თამაშზე, ხვალინდელ 90 წუთზე ვფიქრობთ.

საერთოდ კი, რაღაცის დაგეგმვა უეფას თასზე ძალიან ძნელია. სანამ ტვმკ-ს ბარიერს არ გადავლახავთ, წინ ჯერ არ ვიყურებით. თუ ღმერთმა ინება და ეს ბარიერი დავძლიეთ, სამომავლო ამბიციებზე წილისყრის მერე ვილაპარაკებთ.

**დავით თამართძილაძე**



დინამოელები მატჩისწინა ბოლო ვარჯიშზე

საღამოს რვის ნახევარზე მიადგა ესტონური ტვმკ ეროვნულ სტადიონს და 15 წუთში მწვრთნელ-ფეხბურთელებიც მინდორზე მიმოიფანტნენ. უეფას თასზე თბილისის „დინამოსთან" მატჩისწინა ვარჯიში ჩვეულად მსუბუქი გამოდგა. ფეხბურთელები ხალისიანად ასრულებდნენ, უფრო სწორად, ცდილობდნენ შეესრულებინათ მწვრთნელის ჩანაფიქრი



გუშინ ესტონელებმა „ეროვნული" მოსინჯეს

# პირველად იყო გამარჯვება

## ახსოვთ დინამო და არ ეშინიათ

**მოსალმება** კი ჩვენთვის ერთობ სასიამოვნო და მოულოდნელი გამოუვიდათ სტუმრებს. გასახდელიდან მოედნისკენ მიმავალმა ერთ-ერთმა ესტონელმა, კლუბის მავანმა წარმომადგენელმა გზად, სარბენ ბილიკებზე შეკრებილ დამხვდურთ თავი დაუქნია და... „გამარჯობათ" — ქართულად მოგვესალმა ბალტიისპირელი.

მოლოდინისამებრ, ესტონელები მეტად მწყრალად არიან ბურთთან. დანარჩენებთან შედარებით ორიოდ ბალტიისპირელს თუ გამოარჩევდით ამ მხრივ, თუმც სათვალავში ჩასაგდები მაინცდამაინც არც ისინი იყვნენ.

შეგირდთა ავან-ჩავანი მთავარ მწვრთნელზე უკეთ აბა, ვის მოეკითხება, ჰოდა, სტუმართა დამრიგებელმაც აღიარა, „დინამოს" გაცილებით მეტი შანსი აქვს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად და ამას დიდი კამათი არ უნდაო. თუმც იქვე ისიც დაამატა, ამხელა გზაზე სასეირნოდ ნამდვილად არ წამოვსულვართო.

ტექნიკურ წუნზე ბევრი ლაპარაკი, ვფიქრობთ, არ ღირს, მით უმეტეს, დღევანდელ ფეხბურთში მეტოქის ზედიზედ სამჯერ თუ ოთხჯერ მოტყუება, რომ დიდი ვერაფერი ბედენაა, კარგად მოგეხსენებათ. უბრალოდ ფაქტი აღვნიშნოთ (ამაში წარმოუდგენელიც არაფერია), დინამოელები და ესტონელები ამ კომპონენტში ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც გოლი და ძელი.

სამაგიეროდ, ვიაჩესლავ სმირნოვის შეგირდები შესაშური ფიზიკური კონდიციებით დაიკვეხნიან. კვადრატებით, პრესინგით თუ კარში დარტყმებით გულნაჯერი სტუმრები წვრთნის დასრულების მერეც არ გაჩერებულან და ისე ეტყობოდათ, სულ მცირე ორი-სამი საათი კიდევ ივარჯიშებდნენ.

დაახლოებით ერთსაათიანი წვრთნაც შებინდებისას დამთავრდა და სტუმრებმაც უხმოდ დატოვეს ეროვნული სტადიონი.

ჩვენ კი მანამდე ვიხელთეთ დრო და ორ ესტონელ ფეხბურთელს დღევანდელ მატჩზე გავესაუბრეთ:

**ანტონ მაკორენკო:** ძალიან რთული მატჩი გველის. თბილისის „დინამოს" დღევანდელ შესაძლებლობებზე ბევრი არაფერი ვიცი. ბოლომდე ვიბრძოლებთ და ჩვენსას ვეცდებით. ფაქტია, რომ გაგვიჭირდება, მაგრამ ეს არ გვაშინებს. ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ორივე გუნდისთვის თანაბარია.

**ანტონ პაცევი:** ურთულესი 90 წუთი გველის. თბილისის „დინამოზე" ბევრი მსმენია, თუმც ახლა როგორი გუნდია, ნაღდად არ ვიცი. ვეცდებით, მაყურებელს კარგი ფეხბურთი ვაჩვენოთ და თავი დავამახსოვროთ. სასურველ შედეგად ფრეს მივიჩნევ, საერთოდ კი შანსებს თანაბრად ვაფასებ.

**ბაჩა შალამბერიძე**



ვიაჩესლავ სმირნოვი

# უეფას თასი

UEFA CUP

საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

კოპენჰაგენი. „პარკენი". 15 აგვისტო. 19 საათი

## კოპენჰაგენი – ლოკომოტივი



დანიელები ზაზა ჯანაშიას იცნობენ და უფრთხიან

# მოდი, მნახე!

## კოპენჰაგენი ფირზე, ლოკომოტივი პარკენზე

**დღეს** შვიდ საათზე უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივს" „პარკენის" სტადიონზე დანიური „კოპენჰაგენი" დაუხვდება.

ქართველები კოპენჰაგენს გუშინწინ გაემგზავრნენ, ჩასვლისთანავე ორჯერ დიდი დატვირთვით ვარჯიშიც მოასწრეს და გუშინ მატჩის დაწყების დროს „პარკენიც" მოსინჯეს. მწვრთნელმა სერგო კოტრიკაძემ დანიაში ყველა ის ფეხბურთელი წაიყვანა, ვისიც ეიმედება და ჯანმრთელობას არავინ უჩივის. მასპინძლებმა შეპირებისამებრ „ლოკომოტივს" თავიანთი ერთ-ერთი მატჩის ფირიც გადასცეს, თუმც რკინიგზელებს „კოპენჰაგენზე" ისეც აქვთ საკმაო ინფორმაცია. სხვა საქმეა, ამას როგორ გამოიყენებენ. ინფორმაციის ნაკლებობა არც დანიელებს აწუხებთ.

„კოპენჰაგენის" ერთი წარმომადგენელი „ლოკომოტივის" ყველა ვარჯიშსაც კი დასწრებია და რაღაც-რაღაცეები ჩაუნიშნავს. მწვრთნელ ჰანს ბაკეს დანიურ პრესაში დაუფარავად განუცხადებია, სტუმართაგან ყველაზე მეტ ხიფათს ფორვარდ ზაზა ჯანაშიასგან ველითო და მის გარდა ერთი-ორი ჩვენებურის თამაშიც გამოურჩევია.

სერგო კოტრიკაძე დღეს, ალბათ, 4-5-1 სისტემას ამჯობინებს. ეული თავდამსხმელი სწორედ ჯანაშია იქნება, თუმც ფლანგებიდან რეაქტიული რუსიასა და გოგიჩაიშვილის დახმარების იმედი უნდა ჰქონდეს.

დანიის დედაქალაქში ამჟამად ნორმალური ტემპერატურაა, დაახლოებით 20-22 გრადუსი. ფეხბურთელები ამბობენ, გრილა, „პარკენის" მშვენიერ გაზონზე სასურველი ანგარიშის იმედი გვაქვს, მთავარია, მასპინძელთაგან საწყის შემოტევას გავუძლოთო.

**კობა ინასარიძე**



შარშან ქუთაისის „ტორპედო" იყო, ახლა თბილისის „ლოკომოტივი". „კოპენჰაგენის" სამხრეთაფრიკელი საბუსისო ზუმა (მარცხნივ) ქართველებს მეორედ გადაეყარა

დაახლოებით ერთი კვირაა, რაც ვლადიკავკაზის „ალანიამ" ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი გია იმედაძე ტრანსფერზე დააყენა. 22 წლის იმედაძე ახლა საქართველოშია და მომავალზე ფიქრობს, თუმც, როგორც თავად ტვითხრა, ჯერაც გაურკვეველ მდგომარეობაშია.

# ალანია გამორიცხულია, ტორპედო მოსალოდნელი

— ნაღდად არ ვიცი, რა გითხრათ. ამ საკითხს ნათელი, ალბათ, უახლოეს დღეებში მოეფინება.

**— ოფიციალური ინფორმაციით, გუნდიდან უთანხმოების გამო წამოხვედი. მაინც რა მოხდა სინამდვილეში...**

— კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მომივიდა და ჩემს იქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა, თუმც ჯერ ყველაფერი გადაწყვეტილი არაა.

**— კი მაგრამ, „ალანიამ" უკვე განაცხადა, რომ ტრანსფერზე ხარ...**

— ეს ვიცი, მაგრამ გასარკვევი ჯერაც ბევრია. ალბათ, მალე ვლადიკავკაზელებს შევხვდები და ამ საკითხზე მოვილაპარაკებთ.

**— ესე იგი, „ალანიაში" დაბრუნებას არ გამორიცხავ?**

— არა, „ალანიაში" დამბრუნებელი არ ვარ. იქ თამაში არც მსურს. უბრალოდ, ახლა მართლა ვერ გეტყვით, რას ვაპირებ. არ მინდა, ისე გამომივიდეს, რომ დღეს ერთი ვთქვა და ხვალ მეორე გავაკეთო.

**— ოსებთან კონტრაქტი სადამდე გაქვს?**

— 2004 წლამდე „ალანიას" კუთვნილება ვარ.

**— რაიმე ვარიანტები არ გაქვს?**

— არა. ჯერ ასეთი არაფერია.

**— საქართველოში ხომ არ აპირებ კარიერის გაგრძელებას?**



გია იმედაძემ (მარცხნივ), შესაძლოა, კვლავ „ტორპედოს" მაისურა მოირგოს

— თუკი საქართველოში თამაში გადავწყვიტე, ალბათ, ქუთაისის „ტორპედოში" დავბრუნდები. ერთი სიტყვით, ყველაფერი უახლოეს ერთ კვირაში გაირკვევა. „ალანიას" ხელმძღვანელობასთან შეხვედრის მერე ყველაფერი მეცოდინება.

**ბაჩა ზალამბერიძე**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე. ახალგაზრდულები

# ქართველი რუსის სამსახურში

## მიქაძე ორთავიან არწივს დაუმეგობრდა

### რუსეთი

**რუსეთის** ნაკრების თავკაც ვალერი გაზაევის დარად საშვედეთოდ შეგულებულ ფეხბურთელთა სია ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი ჩერნიშოვმაც გამოაქვეყნა.

შეგახსენებთ, რუსი 21-წლამდელები ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის მეოცნებე ქართველთა მეტოქეები არიან. ჰოდა, სანამ ანდრეი ჩერნიშოვი თავის შეგირდებს შვედ თანატოლებთან ათამაშებს, მანამდე „კოპალას ბიჭების" თურქეთთან ჯახსაც შეავლებს ცალ თვალს.

საინტერესოა, რომ საშვედეთოდ რუსთა სამსახურში პირველად ჩადგება გიორგი მიქაძე, რომელიც სამომავლოდ თავად ვალერი გაზაევსაც შეიგულებია ეროვნული გუნდისთვის. ჩვენი რუსი კოლეგების გაკვირვება კი ნაკრებში ტორპედოელი იგორ ლებედენკოს გამოძახებამ გამოიწვია. ჟურნალისტთა თქმით, ლებედენკო წინასწარ დასახელებულ 59 კანდიდატში საერთოდ არ მოიხსენიებოდა, ახლა კი შესაძლოა, პირველივე ამხანაგურ მატჩში მოირგოს „დიდი რუსეთის" მაისურა.

აქვე გაგაცნობთ ანდრეი ჩერნიშოვის რჩეულ 18 ფეხბურთელს:

*მეკარეები:* ვლადიმირ გაბულოვი (ალანია), იგორ აკინფეევი (ცსკა);

*მცველები:* ოლეგ კუზმინი (ურალინი), დენის კოლოდინი (ურალინი), გიორგი მიქაძე (სატურნი), ალექსეი ბერეზუცკი (ცსკა), ვასილი ბერეზუცკი (ცსკა), რომან რომანოვი (როტორი);

*ნახევარმცველები:* ანტონ ბობერი (კრილია სოვეტოვი), დმიტრი კუდრიაშოვი (სპარტაკი), არტურ ტლისოვი (ცსკა), ალექსეი ტრიპუტენი (ცსკა), ალან კუსოვი (ალანია), ოლეგ ტრიფონოვი (როტორი);

*თავდამსხმელები:* იგორ პიუკი (ტორპედო-ზილ), სპარტაკ გოგნიევი (ცსკა), რომან პავლიუჩენკო (როტორი), იგორ ლებედენკო (ტორპედო).

**ბაჩა ზალამბერიძე**

24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186



REUTERS მონტაჟიდან

„ბოავიშტა“—„ოსერი“. პორტუგალიელებმა ჯიბრილ სისეს ხელი ვერ შეუშალეს და გოლითაც დაისაჯნენ

## ჩემპიონთა ლიგა

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 2:0 შტურმი (ავსტრია)**

1:0, 2:0 აიეგბენი (17, 90)

შტურმი: ფუხერი, ნოიკირხნერი, როზასი, პეტროვიჩი, შტრაფნერი, ჰასი, ბრუნმაიერი, ფეტაი (მილორადი 66), მასუდი, ფოგა, ამოა (სამინი 73)

დავით მუჯირი სათადარიგო იყო

მწვრთნელი: ივიცა ოსიმი

600 მაყურებელი

**აპოელი (კვიპროსი) 2:3 აეკ (საბერძნეთი)**

1:0 უზუნიდისი (23), 1:1, 1:2 ბორბოკისი (45, 47), 2:2 მალეკოსი (89პ), 2:3 ნიკოლაიდისი (90)

**გენკი (ბელგია) 2:0 სპარტა (ჩეხეთი)**

1:0 ტიისი (33), 2:0 ბესლია (40)

**ფეიენოორდი (ჰოლანდია) 1:0 ფენერბაჩე (თურქეთი)**

1:0 ონო (65)

**ბოავიშტა (პორტუგალია) 0:1 ოსერი (საფრანგეთი)**

0:1 ჯ. სისე (70)

# ორტენგამ დაიგვიანა

## შეიყვანს მოსე ებრაელებს ჯგუფში?

**ჩემპიონთა ლიგაში** მიმავალ გზაზე დაგებულმა ბოლო ხაფანგებმა ტკაცატკუცი დაიწყეს. ქერის ორმოში შეღწევა ყველას სურს. უქონლებს თითო-ოროლა კაპიკის მოგროვება სწადიათ, ვეშაპებს კი კიდევ უფრო გამდიდრება.

ხუთმა წყვილმა „ლიგური“ უკვე იცეკვა, მაგრამ მათ შორის ბასრი ხანჯლების მჭრევლნი ჯერ არ ჩანან.

კვიპროსში მეზობლები შეიყარნენ. „აპოელი“ ბერძნულ აეკ-ს გაუმასპინძლდა. ეს გუნდები ათიოდ წლის წინაც შეხვედრიან ერთმანეთს. მაშინ ორივე მატჩი ფრედ დასრულდა. საბერძნეთში 1:1, კუნძულზე კი 2:2 და ათენელებმა შემდეგ ეტაპზე გააღწიეს.

ამჯერადაც ძველი სცენარი მეორდებოდა, მაგრამ დემის ნიკოლაიდისმა სიუჟეტში შესწორება ბოლო წუთზე შეიტანა.

მატჩი „აპოელის“ ბდღვინვით დაიწყო. მარინოს უზუნიდისმა საწადელს მალევე მიაღწია და ნიქოზიელ გულშემატკივრებს გამარჯვების იმედი აპკურა.

სტუმრები გაშმაგდნენ, თუმც დამხდურნი ჯიგრიანად იცავდნენ თავს. კვიპროსელები მეტოქის შეტევებს საჯარიმოს მისადგომებთან ასაფლავებდნენ, ხშირად წესის დარღვევის ფასად. ამიტომაც აეკელები წამდაუწუმ საჯარიმო დარტყმებით ცდილობდნენ „აპოელის“ ალყის გარღვევას.

კარგა ხნის რახარუხის შემდეგ, პირველი ტაიმის მიწურულს, ვასილის ბორბოკისმა მაინც გახვრიტა მასპინძლის სამფლობელო.

ბორბოკისმა მეორედაც აუგო წესი კვიპროსელებს და თამაში შეხვედრის ბოლო წუთამდე უგოლოდ მიიზლაზნებოდა.

15 ათას გულშემატკივარს ანგარიშის შეცვლის რომ აღარ სჯეროდა, სწორედ მაშინ ორჯერ აფართხალდა ორივე კარის ბადე.

აპოელელმა კოსტას მალეკოსმა თერთმეტმეტრიანიდან დაამგერა ზუსტად, აეკელმა ნიკოლაიდისმა კი ნიქოზიელებს სიხარული ცხვირპირზე მიაყინა და ლიგაში მოხვედრის მყარი გარანტია თავისებს მიართვა.

ორმოცი წელი დაატარებდა მოსე ებრაელებს, სანამ აღთქმულ მიწაზე მიიყვანდა. ჰოდა, ეს ხალხი ნეიტრალურ და უცხო მოედნებს ისე გაუშინაურდა, სულ ერთია, ბუენოს აირესში ითამაშებენ თუ პეკინში.

ამჯერად სოფიაში დაუხვდა ჰაიფას „მაკაბი“ ავსტრიულ „შტურმს“, რომელსაც შტურმი კი არა, ერთი ფხიანი შეტევაც არ გამოუვიდა.

„მაკაბის“ ნიგერიელი ფორვარდი იაკუბუ აიეგბენი ჰყავს, რომელიც „დერბი ქაუნთის“ სურდა, მაგრამ ინგლისურმა კანონებმა სამუშაო ვიზა დაუმუხრუჭა. ინგლისმა აიეგბენის რომ უგანა, ვგებ „მაკაბის“ ბედიც იყო.

ნიგერიელმა გემრიელად წაჰგვარა ბურთი მეტოქის მცველებს და თორმეტიოდ მეტრიდან მეკარე ვებერი დაამწუხრა.

შვიდიოდ წუთში აიეგბენის კიდევ ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი, თუმც ამჯერად ვერას გახდა.

„მაკაბი“ თავს ჭკვიანურად იცავდა. „შტურმს“ პირველ ტაიმში მეტოქის კარის ჩარჩოშიც კი არ მოურტყამს ბურთი. მხოლოდ მეორე ნახევრის შუაწელში პირველად შეაწუხეს მაკაბელთა კარის დარაჯი.

შეხვედრის მიწურულს ავსტრიელებმა გასათანაბრებლად ძალები მოიკრიბეს, მაგრამ იმასღა გამორჩნენ, რომ მეორე გოლი გაუშვეს.

თუ ჰაიფელებმა ივაჟკაცეს და ეს ბარიერი გადალახეს, პირველი ებრაული გუნდი იქნება, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე რომ ითამაშებს.

„ბოავიშტამ“ დასაწყისიდანვე სცადა „ოსერის“ გატეხვა, მაგრამ გი რუს ბიჭები ჭკვიანურად გაუმკლავდნენ პორტუგალიელთა მიძალებას.

ჯერ ჟორჟე სილვას დარტყმული მოიგერია ფრანგთა მეკარემ, მერე მარსელინიომ და ერვინ სანჩესმაც სცადეს ბედი, მაგრამ ამაოდ.

მეორე ნახევარში „ოსერი“ „ბოავიშტას“ წილ მინდორს გაუშინაურდა. ნელ-ნელა ტემპსაც უმატა, რასაც სახიფათო დარტყმებიც მიაყოლა.

ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში მაშინ გავიდა, როცა ბოავიშტელები მსაჯს ედავებოდნენ, ფილიპ მექსესმა ხელით ითამაშაო. წამიერი მოდუნებით ისარგებლა სისემ და გოლი შეაგდო.

ჩვენი ნაცნობი „სპარტა“ ბელგიურ „გენკს“ სტუმრობდა. ჩვეულად კარგად ითამაშა კარელ პობორსკიმ, ოღონდ მისი გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა თუნდაც ფრის მისაღწევად.

პირველად კარში ჩეხებმა დაჰკრეს. პოსპიშილის გასროლილი იან მონსმა მოიგერია. საერთოდ, „გენკის“ მეკარემ ძალიან იყოჩაღა.

სტუმრებმა გრძელი პასებით მოისურვეს ჭრა-კვრა, მაგრამ მასპინძლები ვერ გაარღვიეს. ტაიმის ბოლოსკენ „გენკმა“ თამაში დაალაგა და უფრო ორგანიზებული გახდა. გოლი კუთხურის შემდეგ გავიდა. ტიისმა ზუსტად უთავაზა და ანგარიშიც გახსნა.

იმტაზე მოსულმა დამხდურებმა საქმე აღარ გააჯანჯლეს, რასაც მეორე გოლი მოჰყვა.

შესვენებიდან დაბრუნებულმა მეტოქეებმა თამაში გახსნეს. ცხადია, უფრო „სპარტა“ უტევდა, გენკელებმა კი კონტრშეტევებს მიმართეს. არაერთი მომენტი ჰქონდათ მუმუნი დაგანოს და უესლი სონკს, თუმც ორივე კარი ამაოდ ელოდა გოლს.

ნამატჩევს კმაყოფილი იყო ბელგიელთა მწვრთნელი ზეფ ვერგოოსენი: „პირველი ტაიმის შუაწელიდან ბიჭები გადასარევად ათამაშდნენ. მანამდე რგოლებს შორის დიდი უფსკრული იყო, ამიტომ ხეირიანი ვერაფერი შევქმენით. შედეგით კმაყოფილი ვარ და საპასუხო მატჩის წინ ოდნავ დავმშვიდდი“.

„სპარტას“ თავკაცმა კი თავის ფეხბურთელებს აგრესიულობა დაუწუნა, თან დასძინა, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, ყველაფერი პრაღაში გაირკვევაო.

უეფას თასის მფლობელმა „ფეიენოორდმა“ პირველ ტაიმში ვერნერ ლორანტისეულ დაცვას ძვრა ვერ უყო. „ფენერბაჩემ“ კარგა ხანი მშრალად შეინახა კარი. რუშთუც ჩვეულად იგერიებდა მასპინძელთა გამიზნულ დარტყმებს, მაგრამ მეორე ნახევარში სტუმრებმა ზეწოლას ველარ გაუძლეს. ვან ჰოიდონკის პასი შინჯი ონომ გოლად აქცია.

ლორანტმა შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე არიელ ორტეგა შეუშვა მინდორზე. არგენტინელმა ორი-სამი მისებური პასი გააზერხა, გუნდის შეტევები დაალაგა, მაგრამ დრო აღარ ეყო და ამ ამბავს გაგრძელება სტამბოლში ექნება.

**ბაჩა ხუციშვილი**



REUTERS სოფიადან

„მაკაბის“ ორივე გოლი ნიგერიელმა იაკუბუ აიეგბენმა გაიტანა

## ინტერტოტოს თასი 2002

ფინალი. 1 მატჩები

**ლილი (საფრანგეთი) 1:0 შტუტგარტი (გერმანია)**

1:0 ბონალი (20)

**ბოლონია (იტალია) 2:2 ფულემი (ინგლისი)**

1:0 სინიორი (56პ), 1:1 ინამოტო (62), 2:1 სინიორი (75პ), 2:2 ლეგვინსკი (85)

**ვილიარეალი (ესპანეთი) 0:1 მალაგა (ესპანეთი)**

0:1 ხერარდო (9)

# ინებეთ პენალტი, სინიორ!

## იაპონელის პირველი ინგლისური

**დასავლეთლონდონურმა** „ფულემმა“, რომელიც ევროთასებზე პირველად მონაწილეობს, ბოლონიაში ნათამაშევი ფრით უეფას თასზე მოხვედრის შანსი ერთი-ორად გაიზარდა. მატჩის მსვლელობისას იტალიელები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ ჯერ იაპონელი იუნიჩი ინამოტოს, მერე კი ფრანგი სილვენ ლეგვინსკის გვიანი გოლებით სტუმრებმა მაინც გაათანაბრეს.

მთავარი ამბები მეორე ტაიმში მოხდა. 56-ე წუთზე ლონდონელმა ენდი მელვილმა საკუთარ საჯარიმოში კარლო ნერვო წააქცია და კაპიტანმა ჯუზეპე სინიორიმ ზუსტად დაარტყა პენალტი. საერთოდ, „სკუადრა აძურას“ ყოფილი შემტევი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე და მოწინააღმდეგის დაცვას ფრიად პრობლემები შეუქმნა. მაგრამ ის იყო, იტალიელებმა გაიხარეს, რომ ფულემელთა მწვრთნელმა ჟან ტიგანამ ორმაგი შეცვლა გააკეთა, მინდორზე ინამოტო და საჰა შეუშვა, რამაც მალევე გამოიღო ნაყოფი. ინამოტომ მოედნის ცენტრთან მოიპოვა ბურთი, გზად ორი მცველი მოატყუა და ჯანლუკა პალიუკას მარჯვენა კუთხეში გაუტანა. ეს სტუმართა იაპონელის პირველი გოლი გახლდათ ახალ კლუბში.

რამდენიმე წუთში სიტუაცია გამეორდა. აბდესლამ უადუმ საჯარიმოში აკრძალული ხერხით შეაჩერა ხულიო კრუზი და სინიორიმ თავისიანები ისევ პენალტით დააწინაურა. დამთავრებამდე სულ ცოტაღა რჩებოდა, როცა სტივ მარლეტს გრძელ პასს პირველი ლეგვინსკი გამოეხმაურა და გაათანაბრა. საპასუხო მატჩის წინ 2:2 „ფულემისთვის“ მართლაც კარგი შედეგია.

ლილში მასპინძლებმა ნიკოლა ბონალის გოლით მოუგეს „შტუტგარტს“. ეს ფრანგული გუნდი, გეხსომებათ, შარშან ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა, წლეულს კი ინტერტოტოს გავლით ცდილობს რანგით მეორე ევროთასზე მოხვედრას. საფრანგეთის ჩემპიონატში ორი ტური „ლილს“ არათუ გაუმარჯვია, ჯერ გოლიც არ გაუტანია და მე-17 ადგილზეა, არადა, ინტერტოტოდან უკვე ინგლისური „ასტონ ვილას“ დათხოვნაც მოასწრო და ეგებ გერმანული წინაღობის გადალახვაც მოახერხოს.

გოლი კი ცოტა უცნაური, თუმცა ეფექტური გამოდგა. ფილიპ ბრუნელმა მარცხნიდან შორეულ კუთხესთან ჩააწოდა, თითქოს ხიფათი გადავლილი იყო, მაგრამ ბონალმა ივარგა, ბურთს შეუჩერებლივ დაჰკრა და თავისიანები ფრიად გახარა. მალევე სტუმრებსაც შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ კრისტიან ტიფერტმა ისეთი ვერ შეაგდო, რომ ყველაფერი 27 აგვისტოს შტუტგარტის „გოტლიბ დაიმლერ შტადიონზე“ გაირკვევა.

„ვილიარეალ“ — „მალაგას“ ესპანური შეხლა კი სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა. დასაწყისშივე ხერარდო გარსიამ, ასე 20 მეტრის სიშორის საჯარიმოდან ჩაახვია ბურთი კარში. ეს ხერარდო 1998-2000 წლებში სწორედ „ვილიარეალის“ დაცვაში ირჯებოდა და აი, საშმაბათს, ყოფილ თანაგუნდელებს უეფასკენ მიმავალი გზა ერთობ დაუმძლა. მერე მასპინძლები ბევრს უტევდნენ, მარტო არგენტინელ მარტინ პალერმოს შეეძლო რამდენიმე გოლის გატანა, ცდილობდა ახალწვეულ კარლოს არანდაც, მაგრამ თავდადებისა და გამართლების წყალობით ანდალუზიელებმა მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს.

**სოლომონ ბულისაშვილი**



„ვილიარეალი“—„მალაგა“. მასპინძელმა მანუელ ვიქტორმა მარსელო რომეროს შესაჩერებლად ხელ-ფეხი მოიშველია

ეროვნული ბიბლიოთეკა




ბობი რობსონი ნიუკასლში შინაური კაცია

# მთავარია ხვალ! დედოფლის და ტუნის არმიის რჩეული

## სერ ბობის ახალი სეზონი

*პრემიერლიგა მოახლოვდა და თუკი ვინმეს გავიხსენებთ შარშანდელი სეზონის გმირებიდან, უეჭველად სერ ბობი რობსონს. არა იმიტომ, რომ „ნიუკასლის" 69 წლის მენეჯერის გვარი ბრიტანეთის დედოფლის საიუბილეო ღონისძიებათა სიაში მოხვდა და მწვრთნელმა რაინდის ტიტული და ზედწოდება „სერ" მიიღო, არამედ, უფრო იმის გამო, რომ მან ხალისი დააბრუნა „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" და ნიუკასლელ ფანებს იმედი ჩაუსახა*

**რობსონი** მაშინ გამოჩნდა ამ ძველ საფეხბურთო ქალაქში, როცა გუნდიდან მენეჯერი რუუდ გულიტი დაეთხოვათ და „ნიუკასლი" გასავარდნთა სიაში ირიცხებოდა. ეს დრამატული სიტუაცია იყო და კლუბის უფროსობამ გაიხსენა ევროპამოვლილი კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება „ნიუკასლს" გულშემატკივრობდა. რობსონის ხელქვეით ჩატარებულ პირველ თამაშში გუნდმა 8:0 მოუგო „შეფილდ უენსდის" და ეს შედეგი თითქოს ნიშნად დაედო მწვრთნელის ნიუკასლურ კარიერას.

შარშან „ნიუკასლი" სამ დიდ ვეშაპს ეჭიდავა. „მანჩესტერს" და „არსენალს" თითო თამაში მოუგო კიდეც და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც მოიპოვა.

რობსონის მართვის ოსტატობა, მოტივაციის უნარი, ტაქტიკური სიბრძნე და საერთოდ თამაშის ცოდნა გადამწყვეტი გამოდგა იმისთვის, რომ „ნიუკასლს" კვლავ ამოეყვინთა და ტუნის არმიას, სხვაგვარად კი იქაურ ქომაგებს, კევინ კიგანის ოქროს ხანა გახსენებოდათ კენი დალგლიშისა და გულიტის უფერული თავკაცობის შემდეგ.

რობსონი ძალიან პოპულარულია ნიუკასლში. იქ მას ადგილობრივი ღმერთის სტატუსი აქვს. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ სერ ბობი ძალიან შინაური კაცია და ლაპარაკიც გვარიანად უყვარს. ამას იუმორის გრძნობაც დაუმატეთ და გასაგები გახდება, თუ რატომ უყვართ რობსონი არა მხოლოდ გულშემატკივრებს, არამედ, ჟურნალისტებსაც, რომელთაც რობსონი ძველი მეგობრებივით მიიღებს ხოლმე.

ნიუკასლში რობსონი კეთილი ანეკდოტების გმირიცაა. ამ ოხუნჯობათაგან მრავალი მოგონილია, მრავალიც ნამდვილი. ერთ-ერთი ოხუნჯობა ასეთია: „ნიუკასლის" ყრმა შავკანიანი შოლა ამეობი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში მიიწვიეს და მწვრთნელმა ჰოვარდ უილკინსონმა ჰკითხა, გვარი რომ არ გიძახო, მითხარი შენი მოკლე სახელი, ბობი რომ გიძახის ხოლმეო. შოლამ მიუგო: „ის კარლ კორტს მეძახის". აქვე მოგახსენებთ, რომ კარლ კორტი „ნიუკასლისავე" შავკანიანი ფეხბურთელია, ისეთივე ახოვანი და ხოტორა, როგორიც ამეობი.

რაც მთავარია, რობსონმა სანახაობრივი ფეხბურთი დააბრუნა „ნიუკასლში". სწრაფი კრეიგ ბელამი, კირონ დაიერი და ნოლბერტო სოლანო ის ხალხია, ვინც მან თამამად შესთავაზა ქომაგებს. საერთოდ, რობსონს ახალგაზრდები უყვარს და მათ თამამად შეაგდებს ხოლმე მოედანზე. აი, ახლაც, ტიტუს ბრამბლი გადმოიყვანა გავარდნილი „იფსვიჩიდან" და ლისაბონის „სპორტინგს" 19 წლის ვუნდერკინდი უგო ვიანა გამოსთხოვა, თებერვალში კი ასევე ყრმა ჯერვინ ჯინასი მოიყვანა „ნოტინგემიდან".

„უკეთესად უნდა ვითამაშოთ. სრულყოფილებისკენ სვლა ჩვენი მთავარი მიზანია. ამიტომაც დავეძებთ ხოლმე ახალ სისხლს. დღევანდელი დღით არაფერი გაიზომება. ხვალ, მთავარია ხვალ" — ამბობს მენეჯერი, რომელიც ორმოცდათორმეტი წელიწადია ფეხბურთშია.

**ირაკლი ბამყრელიძე**



ტორე ანდრე ფლო ინგლისურ პრემიერლიგას დაუბრუნდება

# ფლო ფლავი არაა, კიდევ რომ გვინდოდეს

## რეინჯერსი ძვირადშესანახს სანდერლენდს უთმობს

**მას შემდეგ,** რაც წინა სეზონში „რეინჯერსის" გაწვრთნას ალექს მაკლიში შეუდგა, ნორვეგიელი ფორვარდის ტორე ანდრე ფლოს პოზიციები მნიშვნელოვნად შეირყა.

ჰოდა, ჯერ კიდევ ახალი სეზონის დაწყების წინ, ფლოს „რეინჯერსიდან" წასვლაზე გაჩაღდა ბაასი. ნორვეგიელი შემტევი ხომ ხშირად ვეღარ ხვდებოდა ძირითადში — კლაუდიო კანიჯა, შოთა არველაძე და პიტერ ლოვენკრანდსი გვარიანად ავიწროვებდნენ.

ტორე ანდრეს მსურველი კლუბები საკმაოდ ბევრი ჰყავდა, თუმცა საქმეს ახლა ისეთი პირი უჩანს, რომ ფლო საცაა მოაწერს ხელს ინგლისურ „სანდერლენდთან" კონტრაქტს.

„სანდერლენდის" მენეჯერი პიტერ რიდი აცხადებს, რომ ფლო თავდასხმაში კევინ ფილიპსის პარტნიორი იქნება, ნორვეგიელს ჭაპანი ვეტერანმა ირლანდიელმა ნაილ ქუინმა უნდა დაუთმოსო.

ფლოს ხელში ჩაგდება ძალიან უნდოდა „ტოტენჰემის" მენეჯერ გლენ ჰოდლს, თუმცა არაფერი გამოუვიდა.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ „რეინჯერსმა" ახმახი სკანდინაველი 12 მილიონ გირვანქად შეიძინა „ჩელსისგან" 2000-01 წლების სეზონისთვის.

ფლომ „რეინჯერსის" მაისურით 38 გოლი გაიტანა 61 მატჩში, მაგრამ ევროტურნირებზე და „სელტიკთან" შეხვედრებში თავი ვერაფრით გამოიჩინა. აიბროქსელებმა ალბათ ამიტომ გადაწყვიტეს, 4,5 მილიონ გირვანქად დაუთმონ ის „სანდერლენდს".

არც ის უნდა გამოგვეპაროს, რომ „რეინჯერსი" კვირაში 35 ათას გირვანქას უხდიდა ნორვეგიელს და მისი გაყიდვის დაჩქარება იმიტომ სურს, რომ ახალი ფეხბურთელის ყიდვას აპირებს — ირწმუნება პოპულარული ტაბლოიდი „სანი".

**დავით თავართქილაძე**

# მუხლთარსი სამშაბათი

**„ტოტენჰემ ჰოთსპურის"** ურუგვაელი ნახევარმცველი, გუსტავო პოიეტი სამშაბათს ვარჯიშზე ისე დაშავდა, რომ მოახლოებულ სეზონში, შესაძლოა, მეტწილად ტრიბუნიდან ან სულაც ტელევიზიით ადევნოს ფეხბურთს თვალი. მან მუხლის მყესები დაიზიანა.

„ძალიან დამწყდა გული. არადა, ორშაბათს და სამშაბათ დილით გახარებული ვიყავი, რადგან, ვგრძნობდი, რომ ძველი ტრავმა მიშუშდებოდა. ორშაბათს წინ და უკან ხტომასა და სირბილში ხელს არაფერი მიშლიდა, ახლა კი პრობლემას, რომელიც მოგვარებული მეგონა, ახალი დაემატა. უახლოეს ხანს გლენ ჰოდლს დაველაპარაკები და ერთად გადავწყვეტთ, რა ვქნათ" — თქვა პოიეტმა გაზეთ „ლონდონ ივნინგ სტანდარდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავკაცს, გლენ ჰოდლს, საექიმოთა სია უკვე გვარიანად დაუგრძელდა. მასში წერია: დარენ ანდერტონი, კრისტიან ციგე, ლედლი კინგი, შტეფან ფრეინდი, სტივენ კლემენსი, ენტონი გარდნერი, ლეს ფერდინანდი, ჯეიმი რედნაპი და ბენ ტეტჩერი — შთამბეჭდავი ჩამონათვალია, არა? თანაც ინგლისის ჩემპიონატი შაბათს, 17 აგვისტოს იწყება.

მაგრამ აქ ჩამოთვლილ ფეხბურთელთა გვარებს, დაგვეთანხმებით, იმხელა ეფექტის მოხდენა არ შეუძლია, „იუვენტუსის" ფრანგი ფორვარდის, დავიდ ტრეზეგეს გვარი ახდენს. ტრეზეგე მსოფლიოში ხსნებულ ლონდონელებზე პოპულარულია, მაგრამ, როგორც იტალიიდან გავრცელებულ ცნობაში წერია, მათსავით დაშავებული ყოფილა.

„იუვენტუსის" ოფიციალური ვებგვერდი გვეუბნება, რომ სერია A-ს გასული სეზონის თანაბომბარდირს (24 გოლი) 31 ივლისს, ამხანაგურ შეხვედრაში, პოიეტისა არ იყოს, მუხლი უტკენია და მას მერე ტკივილი ვერ დაუამებია. ავადსახსენებელ სამშაბათს კი, ჩვეულებრივ ვარჯიშზე ტრეზეგეს მუხლი უარესად გამიზეზებია და ახლა, 20-30 დღიანი დასვენება სჭირდება.

შეგახსენებთ, იტალიელები ჩემპიონატს 1 სექტემბერს იწყებენ.

**ბაჰუნა ძიდია**





ვაი, მუხლისგან: გუსტავო პოიეტი და დავიდ ტრეზეგე

## ინგლისი

### 1 დივიზიონი. II ტური

**ჯილინგემი 1:0 დერბი ქაუნთი**

1:0 შოუ (16)

გიორგი ქინქლაძე განაცხადში ვერ მოხვდა

**ბრაიტონი 0:0 ქოვენთრი**

**გრიმსბი 0:0 უიმბლდონი**

**რედინგი 2:1 შეფილდ უენსდი**

0:1 სიბონი (18), 1:1, 2:1 კარეტონი (47, 78)

**როტერჰემი 1:1 ნორვიჩი**

1:0 ლი (68), 1:1 ნილსენი (87)

**შეფილდ იუნ. 1:1 პორტსმუთი**

1:0 ნდლოვუ (12), 1:1 ბარტონი (25)

**კრისტალ პალასი 1:1 ბრედფორდი**

0:1 ტოდი (76), 1:1 პოპოვიჩი (80)

**უოტფორდი 0:0 მილუოლი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯილინგემი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| როტერჰემი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 4 |
| ნორვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| ბრაიტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| პორტსმუთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კრ. პალასი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ქოვენთრი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| დერბი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| იფსვიჩი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| რედინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ბრედფორდი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ვულვზი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სტოკი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| შეფილდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| უენსდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| უიმბლდონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| უოტფორდი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| გრიმსბი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |
| მილუოლი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | 1 |
| პრესტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბარნსლი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ნოტინგემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| უოლსოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამგან ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური | | | | | | |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 19.00 | 049 | ბლეკბერნი-სანდერლენდი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 050 | ჩარლტონი-ჩელსი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,55 | 1,28 | 1,28 |
| 19.00 | 051 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 052 | ფულემი-ბოლტონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 053 | ლიდსი-სიტი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 19.00 | 054 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 055 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 19.00 | 056 | საუთჰემპტონი-მიდლსბრო | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 18.00 | 057 | ასტონ ვილა-ლივერპული | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 20.05 | 058 | არსენალი-ბირმინგემი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 059 | არსენალი-ბირმინგემი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| | | 19 აგვისტო | | | | | | |
| 24.00 | 060 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| | | საფრანგეთი | | | | | | |
| | | I დივიზიონი. III ტური | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 23.45 | 141 | მარსელი-ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 20.15 | 142 | მონპელიე-ბორდო | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |
| 23.00 | 143 | ბასტია-მონაკო | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 23.00 | 144 | გენგამი-რენი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 145 | ლილი-ნიცა | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 23.00 | 146 | პსჟ-აიაჩო | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| | 147 | პსჟ-აიაჩო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| 23.00 | 148 | სედანი-ლანსი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 23.00 | 149 | სოშო-ნანტი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 23.00 | 150 | სტრასბური-ლე ავრი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.00 | 151 | ტრუა-ოსერი | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი. III ტური | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 22.15 | 152 | ნანსი-კაენი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 20.30 | 153 | ტულუზი-მეცი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,4 |
| 23.00 | 154 | ამიენი-სტ. ეტიენი | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 23.00 | 155 | შატორუ-კრეტეი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.00 | 156 | კლერმონი-ვალანსი | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 23.00 | 157 | გრენობლი-ნიორი | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 23.00 | 158 | გენიონი-ვალკევილი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 23.00 | 159 | ისტრი-ლორიანი | 3,1 | 2,9 | 2,3 | 1,49 | 1,32 | 1,28 |
| 23.00 | 160 | ლავალი-ბოვე | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 23.00 | 161 | რეიმსი-ლე მანი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,4 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი. I ტური | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 23.00 | 162 | როზენდალი-ზვოლე | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 22.30 | 163 | ექსელსიორი-პსვ | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,19 | 1,07 |
| 22.30 | 164 | ბრედა-როდა | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 22.30 | 165 | ტვენტე-ტილბურგი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 23.00 | 166 | ალკმაარი-ჰერენვენი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 17.30 | 167 | აიაქსი-უტრეხტი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 168 | აიაქსი-უტრეხტი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 17.30 | 169 | ფეიენოორდი-ნაიმეგენი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 170 | ფეიენოორდი-ნაიმეგენი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 17.30 | 171 | გრონინგენი-ვიტესი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 17.30 | 172 | ვალვაიკი-გრააფსხაპი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი. I ტური | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 23.00 | 173 | სიტარდი-ეინდჰოვენი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 23.00 | 174 | კამბური-ვეენდამი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 23.00 | 175 | ტელსტარი-ვენლო | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| | 176 | ტელსტარი-ვენლო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 23.00 | 177 | მაასტრიხტი-დორტრეხტი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| 23.00 | 178 | ჰელმონდი-ვოლენდამი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |
| 23.00 | 179 | ემენი-სპარტა | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 23.00 | 180 | ჰერაკლესი-ჰაარლემი | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| | | 19 აგვისტო | | | | | | |
| 23.00 | 181 | დენ ჰააგი-დენ ბოსხი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| | | ბელგია. I დივიზიონი. II ტური | | | | | | |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 21.00 | 182 | ანტვერპენი-გენკი | 3,1 | 3,3 | 2,1 | 1,59 | 1,25 | 1,28 |
| 23.00 | 183 | ლოკერენი-ბევერსხოტი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 23.00 | 184 | ანდერლეხტი-მეხელენი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 185 | ანდერლეხტი-მეხელენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 23.00 | 186 | ბრიუგე-ბევერენი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 187 | ბრიუგე-ბევერენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 23.00 | 188 | ლიერსი-ლუვენ | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| 23.00 | 189 | სტ. ტრუიდენი-ლომელი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.00 | 190 | მონსი-ვესტერლო | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 18.00 | 191 | მუსკრონი-გენტი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 23.00 | 192 | შარლერუა-სტანდარდი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | ავსტრია. VI ტური | | | | | | |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 20.15 | 266 | რიდი-პაშინგი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 21.30 | 267 | ბრეგენცი-ადმირა | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 22.30 | 268 | რაპიდი-გრაცერი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 19.30 | 269 | შტურმი-ავსტრია | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 22.00 | 270 | ზალცბურგი-კერნტენი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| | | შვეიცარია. "ა" ჯგუფი. VIII ტური | | | | | | |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 20.30 | 271 | გრასჰოპერი-თუნი | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| | 272 | გრასჰოპერი-თუნი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 22.30 | 273 | იანგ ბოისი-დელემონი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 22.30 | 274 | ბაზელი-ლუცერნი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 275 | ბაზელი-ლუცერნი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.30 | 276 | ქსამაქსი-სტ. გალენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 19.15 | 277 | აარაუ-ციურიხი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.15 | 278 | ვილი-სერვეტი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. VIII ტური | | | | | | |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 20.30 | 279 | ბადენი-ლოზანა | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,44 | 1,29 | 1,33 |
| 20.30 | 280 | ვინტერთური-შაფჰაუზენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.30 | 281 | ივერდონი-კონკორდია | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 22.30 | 282 | კრიენსი-ბელინცონა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.30 | 283 | სიონი-ვოლენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 284 | სიონი-ვოლენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 19.15 | 285 | ლუგანო-ვადუცი | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| | 286 | ლუგანო-ვადუცი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 20.30 | 317 | ჰაკა-კუოპიო | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 318 | ჰაკა-კუოპიო 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | ესპანეთი. სუპერთასი. 1-ლი მატჩი | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 00.30 | 344 | დეპორტივო-ვალენსია | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| | | პორტუგალია. სუპერთასი (სეტუბალში). | | | | | | |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 23.00 | 345 | სპორტინგი-ლეიშოეში | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | | უეფას თასი. საკვალიფიკაციო წრე. I ეტაპი. | | | | | | |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 16.30 | 371 | ქაირათი(ყაზ)-ცრვენა ზვეზდა(იუგ) | 5,6 | 3,6 | 1,5 | 2,19 | 1,18 | 1,05 |
| 18.00 | 372 | სპარტაკი(სომ)-სერვეტი(შვც) | 4,0 | 3,4 | 1,7 | 1,83 | 1,19 | 1,13 |
| 19.00 | 373 | ატირაუ(ყაზ)-პუხოვი(სლკ) | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 374 | ამიცა(პოლ)-ტნს(უელ) | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 19.30 | 375 | გომელი(ბლრ)-ჰიკ(ფინ) | 2,4 | 3,3 | 2,5 | 1,38 | 1,22 | 1,42 |
| 20.00 | 376 | პობედა(მკ)-მიდტიულანდი(დან) | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |
| 20.00 | 377 | პრიმორიე(სლვ)-ზვარტნოცი(სომ) | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
ელ-ჰაჯი დიუფი (ლანსი, საფრანგეთი)
სალიფ დიაო (სედანი, საფრანგეთი)
პატრის ლუზი (მონაკო, საფრანგეთი)

## მანჩესტერ იუნაიტედი

### წავიდნენ

რონი უოლვორკი (ვესტ ბრომვიჩი)
რაიმონდ ვან დერ გოუ (ვესტ ჰემი)
პოლ რაჩუბკა (ჩარლტონი)
მარკ ლინჩი (სენტ ჯონსტონი, შოტლანდია)
ნიკოლას ბაქსტერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნიკ კალკინი (ქუინზ პარკ რეინჯერსი)
დენის ირვინი (ვულვერჰემპტონი)
რონი იონსენი (ასტონ ვილა)
დუაიტ იორკი (ბლექბერნი)
ენდი ტეილორი (ნორვიჩი)
კევინ გროგანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯიმი დევისი (სუინდონი)

### მოვიდნენ

ნიკ სტილი (პიტერბრო)
რიო ფერდინანდი (ლიდსი)

## ნიუკასლი

### წავიდნენ

კარლ კოლი (შეფილდ იუნ.)
მარკ ბოიდი (პორტ ვეილი)
სტივ კოლდუელი (ბრედფორდი)
გარი კოლდუელი (ქოვენთრი)
სტიუარტ გრინი (კარლაილი)
ჯეიმს კოპინგერი (ექსეტერი)
დისტინი (მანჩესტერ სიტი)

### მოვიდნენ

უგო ვიანა (სპორტინგი, პორტუგალია)
სილვენ დისტინი (პსჟ, საფრანგეთი)
ტიტუს ბრემბლი (იფსვიჩი)

## ლიდსი

### წავიდნენ

დენი ჰეი (უოლსოლი)
რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნ.)

### მოვიდნენ

ნიკ ბარმბი (ლივერპული)
პოლ ოკონი (მიდლსბრო)

## ჩელსი

### წავიდნენ

სემ დალა ბონა (მილანი, იტალია)
ლეონ ნაითი (ჰადერსფილდი)
სლავიშა იოკანოვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რატი ალექსიძე (ტრანსფერზეა)
რაის ევანსი (ლეიტონი)
სემ პარკინი (სუინდონი)

### მოვიდნენ

ენრიკე დე ლუკასი (ესპანიოლი, ესპანეთი)
გაბრიელე ამბროზეტი (პიაჩენცა, იტალია)
ფლავიო კონსეისაო (რეალი, ესპანეთი)

## ვესტ ჰემი

### წავიდნენ

რიგობერტ სონგი (კიოლნი, გერმანია)
ჰეიდენ ფოქსი (პორტსმუთი)
სვენ ანდერსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მაიკლ ფერანტე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კრეიგ ფორესტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შაკა ჰისლოპი (პორტსმუთი)
პოლ კიტსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სტივენ პოტსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ომერ რიზა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გარი ჩარლზი (კარიერა დაასრულა)
რაგნვალდ სომა (ბრინი, ნორვეგია)

### მოვიდნენ

იუსუფ სოფენე (ოსერი, საფრანგეთი)
ოსკარ გარსია (ესპანიოლი, ესპანეთი)
რაიმონდ ვან დერ გოუ (მანჩესტერ იუნ.)
გარი ბრინი (ქოვენთრი)
ედუარდ სისე (პსჟ, საფრანგეთი)

## ასტონ ვილა

### წავიდნენ

დიონ დაბლინი (მილუოლი)
პიტერ შმაიხელი (მანჩესტერ სიტი)
ჯორჯ ბოატენგი (მიდლსბრო)
პოლ მერსონი (პორტსმუთი)
ბოზ მაიჰილი (ბრისტოლი)

### მოვიდნენ

მაიკლ ბულდინგი (გრიმსბი)
მარკუს ოლბოკი (ჰერენვენი, ჰოლანდია)
ლი გრანტი (იორკი)
რონი იონსენი (მანჩესტერ იუნ.)
აარონ ჰოსტმა (გრააფშხაპი, ჰოლანდია)
ულისე დე ლა კრუზი (ჰიბერნიანი, შოტლანდია)

## ტოტენჰემი

### წავიდნენ

კრის არმსტრონგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
იანიკ კამანანი (სტრასბური, საფრანგეთი)
დარენ ანდერტონი (ტრანსფერზეა)
გევინ კელი (კოლჩესტერი)
ფრანკო პარიზი (ტრანსფერზეა)

### მოვიდნენ

ჯეიმი რედნაპი (ლივერპული)
მილენკო აჩიმოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია)
ჯონათან ბლონდელი (მუსკრონი, ბელგია)
რონ რიკეტსი (არსენალი)
კუ ბო (კინგდაო ჰაინიუ, ჩინეთი)

## ბლექბერნი

### წავიდნენ

კორადო გრაბი (მესინა, იტალია)
საიმონ გრეისონი (ბრედფორდი)
ჯეიმს ტომასი (ბრისტოლ როვერსი)
მარკ ჰიუზი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბენ ბურგესი (სტოკპორტი)

### მოვიდნენ

მარკ სებასტიან პელცერი (ლაუტერნი, გერმანია)
ენდი ტოდი (ჩარლტონი)
დუაიტ იორკი (მანჩესტერ იუნაიტედი)

## საუთჰემპტონი

### წავიდნენ

სკოტ მაკდონალდი (პრესტონი)
დენი როდრიგესი (უოლსოლი)
სკოტ ბივენი (ჰადერსფილდი)
ჯაჩინტო ელა ეიენი (ერკულესი, ესპანეთი)
დან პეტრესკუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)

### მოვიდნენ

მიხაელ სვენსონი (ტრუა, საფრანგეთი)
ჩუნ-სოო ლი (ულსან ჰიუნდაი, ს. კორეა)

## მიდლსბრო

### წავიდნენ

ენტონი ორმეროდი (ჰარტლპული)
დინ გორდონი (ქოვენთრი)
პოლ ინსი (ვულვერჰემპტონი)
მარლონ ბერესფორდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბენიტო კარბონე (კომო, იტალია)
რობი მა[illegible] (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პოლ ოკონი (ლიდსი)

### მოვიდნენ

მასიმო მაკარონე (ემპოლი, იტალია)
ჟუნინიო პაულისტა (ატლეტიკო, ესპანეთი)
ჯერემი ნჯიტაპი (რეალი, ესპანეთი)
ჯორჯ ბოატენგი (ასტონ ვილა)
იესპერ ბლომკვისტი (ევერტონი)

## ფულემი

### წავიდნენ

მარკუს ჰანემანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პოლ ტროლოპი (ნორტჰემპტონი)

### მოვიდნენ

მარტინ ერერა (ალავესი, ესპანეთი)
ფაკუნდო სავა (ხიმნასია, არგენტინა)
იუნიჩი ინამოტო (არსენალი)
მარტინ ჯეტუ (პარმა, იტალია)
ვიქტორ სიკორა (ვიტესი, ჰოლანდია)
პიერ ვომე (ბოლონია, იტალია)

## ჩარლტონი

### წავიდნენ

გრეგ შილდსი (კილმარნოკი, შოტლანდია)
ენდი ტოდი (ბლექბერნი)
პოლ რაჩუბკა (ოლდემი)
ედი იუდსი (ჰადერსფილდი)
ჯამალ კემპბელ-რაისი (ლეიტონი)

### მოვიდნენ

პოლ რაჩუბკა (მანჩესტერ იუნ.)
კრის ბარტ-უილიამსი (ნოტინგემი)
გარი როუეტი (ლესტერი)

## ევერტონი

### წავიდნენ

ალექს ნიარკო (მონაკო, საფრანგეთი)
იესპერ ბლომკვისტი (მიდლსბრო)
პიტერ კლარკი (ბლექპული)
კეიტ საუთერნი (ბლექპული)

### მოვიდნენ

ლი ვეიფენგი (შენჟენ პინგანი, ჩინეთი)
ჟოზეფ იობო (მარსელი, საფრანგეთი)
ლი ტიე (ლიაონინგი, ჩინეთი)
რიჩარდ რაიტი (არსენალი)

## ბოლტონი

### წავიდნენ

დინ ჰოლდენი (ოლდემი)
როდ უოლესი (ჯილინგემი)
კლივლენდ ტეილორი (ექსეტერი)
პოლ უიტკროფტი (სკანთორპი)
ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი, გერმანია)

### მოვიდნენ

ბიულენთ აკინი (გალათასარაი, თურქეთი)
აუგუსტინ ოკოჩა (პსჟ, საფრანგეთი)
ტარიბო ვესტი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია)
ბერნარ მენდი (პსჟ, საფრანგეთი)
ჟოზე ლუიშ ჟუნიორი (ტრეზე, ბრაზილია)
დელრონ ფეისი (ჰადერსფილდი)

## სანდერლენდი

### წავიდნენ

პატრიკ მბომა (პარმა, იტალია)

### მოვიდნენ

პოლ ტრონტონი (ტრანმერი)
ფილ ბები (სპორტინგი, პორტუგალია)
თომას მირე (ბეშიქთაში, თურქეთი)
შონ ტორნტონი (ტრანმერი)

## მანჩესტერ სიტი

### წავიდნენ

ტაირონ მირსი (პრესტონი)
ალიუნ ტურე (პსჟ, საფრანგეთი)
რიჩარდ ედჯილი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სილვენ დისტინი (პსჟ, საფრანგეთი)
ტერი კუკი (გრიმსბი)
კრის კილენი (ოლდემი)

### მოვიდნენ

მარკ-ვივიენ ფოე (ლიონი, საფრანგეთი)
ნიკოლა ანელკა (პსჟ, საფრანგეთი)
მატიას ვუოსო (ინდეპენდიენტე, არგენტინა)
ტაირონ ლორანი (ვოლენდამი, ჰოლანდია)
მიკელ ბიშოფი (კოპენჰაგენი, დანია)
პიტერ შმაიხელი (ასტონ ვილა)
დისტინი (ნიუკასლი)
სტილი (პიტერბრო)

## ვესტ ბრომვიჩი

### წავიდნენ

ენდი პეტერსონი (ტრანსფერზეა)

### მოვიდნენ

რონი უოლვორკი (მანჩესტერ იუნ.)
ჯო მერფი (ტრანმერი)
ლი მარშალი (ლესტერი)
შონ გრიგერი (პრესტონი)
მაკბეტ სიბაია (იომო კოსმოსი, ს. აფრიკა)
ტიმ დე კლერი (აიაქსი, ჰოლანდია)
ჰერმან ჰრეიდარსონი (იფსვიჩი)

## ბირმინგემი

### წავიდნენ

დელე ადებოლა (ოლდემი)
ტრევორ ტირნი (ფორესტ გრინი)
დენი სონერი (უოლსოლი)
ენდრიუ ჯონსონი (კრისტალ პალასი)
ჯერემი გილი (ნორთჰემპტონი)
პოლ ფურლონგი (ქუინზ პარკი)

### მოვიდნენ

რობი სევიჯი (ლესტერი)
პიტერ აზერტონი (ბრედფორდი)
ალიუ სისე (პსჟ, საფრანგეთი)
ემანუელ ოლისადებე (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
კენი კანინგემი (უიმბლდონი)
კლინტონ მორისონი (კრისტალ პალასი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით უგრეხელიძე

# ნახევამდის უგრულად

**გუშინწინ** საქართველოს ნაკრების ცენტრი დავით უგრეხელიძე ლიუბლიანას გაფრინდა, ოღონდ კვლავ „სლოვანში" სათამაშოდ კი არა, ბარგის შესაკრავად და სლოვენიიდან საბერძნეთში გადასაბარგებლად — უმაღლესდივიზიონელი „პანიონიოსი" ყაბულსაა, უგრეხელიძე შეიძინოს.

მათი დაკავშირება მენეჯერ გიორგოს დიმიტროპულოსის დამსახურებაა, რომელმაც ამას წინათ უგრეხელიძე და სლოვანელივე კოტე ტულუში „პანიონიოსში" გასასინჯად მიავლინა. შესაძლოა, ბერძნებს ქართველი ცენტრი და გამთამაშებელი თანაბრად მოეწონათ, მაგრამ რადგან მეფარეთა ნაკლებობას განიცდიდნენ, უგრეხელიძის შეძენის სურვილი იმთავითვე გამოთქვეს, ტულუშს კი უთხრეს, ვიფიქრებთო.

ტულუშთან ერთად საბერძნეთიდან უგრეხელიძეც უკონტრაქტოდ დაბრუნდა. იქაურ ფედერაციაში უცხოელთა ლიმიტთან დაკავშირებით სიახლეები ყოფილა და საქმის საბოლოოდ გარკვევამდე „უგრე" დროებით წამოსულა „პანიონიოსიდან". ახლა კი, როგორც გითხარით, სლოვენიაში ბარგისთვის წავიდა და რამდენიმე დღეში ბერძნებში გადავა, რომლებიც, სავარაუდოდ, კონტრაქტსაც გაუფორმებენ, მაგრამ...

საბოლოო სიტყვა „სლოვანზეა", რომლის გენერალური მენეჯერი იანის რაიგელი დიდი ქვაწვია ვინმეა, რაც ქართველებთან ურთიერთობიდანაც ჩანს: სწორედ ამ კაცის გამო იყო, ნიკა ცქიტიშვილი ტრევიზოში ნახევარი წელი უთამაშებელი რომ იჯდა — რაიგელი ნიკას „სლოვანიდან" გათავისუფლების ფურცელს არა და არ თმობდა, ახლახან კი ახალგაზრდულ გუნდში მოთამაშე გიორგი მამაცაშვილს 8-წლიანი კონტრაქტი მიაჩეჩა და ქართველი ისე „გამოიპარა" ლიუბლიანიდან, სლოვენიისკენ გახედვაც არ სურს.

მოსალოდნელია, რაიგელმა უგრეხელიძესაც გაუჭიროს საქმე, დავითს „სლოვანში" კიდევ სამი წელი დარჩა სათამაშო.

— „პანიონიოსიც" თანახმაა და მეც მსურს იქ თამაში. „სლოვანს" კიდევ 3 წელი კი ვეკუთვნი, მაგრამ ბერძნულ კლუბთან უკვე შეთანხმებული ვარ და, თუ ნამუსია, ხელი არ უნდა შემიშალონ. მაგრამ არ ვიცი, რაიგელისგან ყველაფერია მოსალოდნელი, თუ მეც ცქიტიშვილივით, ჯიბრში ჩამიდგა, ბერძნების დაფრთხობას დიდი საკომპენსაციო თანხით ეცდება. ვნახოთ, ლიუბლიანაში რომ ჩავალ, ყველაფერი გაირკვევა — გვითხრა გამგზავრებამდე უგრეხელიძემ.

ის კი არა, „სლოვანზე" კოტე ტულუშსაც აჰყრია გული და შესაძლოა, ერთ დროს ქართველებმრავალი ლიუბლიანური კლუბი მომავალი სეზონიდან ჩვენებურთაგან დაცლილი ვიხილოთ. „თუ „პანიონიოსის" ვარიანტი არ გამოვიდა, მომავალ სეზონს, ალბათ, საქართველოში ვითამაშებ. აღარ მინდა „სლოვანში" გაჩერება, იქ ცოტას ვთამაშობ და ამიტომ პერსპექტივაც ნაკლები მაქვს" — გვითხრა ტულუშმა, რომელიც თუ სამშობლოში დაბრუნდა, სავარაუდოდ, „სტუ-ჯეოსელში" ითამაშებს.

**ირაკლი გირტაია**

# IN BUSINESS WE TRUST მომეცით მილიონები და წაიყვანეთ თქვენი შვილი



## ვივაჭროთ! შენი სამშობლო შენი საქმეა

**ახლოვდება** მსოფლიოს ჩემპიონატი და იკვეთება მასში მონაწილეთა პრობლემები. ყველამ იცის, ამერიკა არასრულფასოვან გუნდს ათამაშებს ინდიანაპოლისში. ნბა-ს ვარსკვლავებს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლას დასვენება ურჩევნიათ და ერთიმეორის მიყოლებით აკლდებიან მასპინძელთა ნაკრებს. ეს არაფერი, ახლა ირკვევა, რომ შესაძლოა, სხვა ქვეყნების ნაკრებებსაც, მაგალითად, გერმანიას, კანადას, იუგოსლავიას დააკლდეთ ვარსკვლავები. ამჯერად ამის მიზეზი კალათბურთელთა გულგრილობა როდია. არაამერიკელები პირიქით, იშვიათ მონდომებას იჩენენ, თვით ბეხრეკი ვლადე დივაციც კი ჩაეწერა იუგოსლავთა ნაკრებში, საითკენაც მას რა ხანია აღარ გაუხედავს. როგორც ჩანს, არაამერიკელები გრძნობენ ამერიკელთა სისუსტეს და ისიც იციან, რომ მათი დამარცხების შანსი ახლა ისეთი დიდია, როგორც არასდროს, მაგრამ უცხოელებს ნაკრებში ბოლომდე დახარჯვაში ხელს ისევ ამერიკელები უშლიან.

„დალასის" გიჟმაჟ მფლობელ მარკ კუბანს არ სურს „დალასის" მოთამაშეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაშვება. „მავერიკსში" ოთხი ქვეყნის ნაკრების ექვსი წევრი თამაშობს, თან სულ დარჩეული ბიჭები — მაიკლ ფინლი, რიფ ლაფრენცი (ორივე აშშ), დირკ ნოვიცკი, შონ ბრედლი (ორივე გერმანია), სტივ ნეში (კანადა) და ვანგ ჟიჟი (ჩინეთი). კუბანი მათი გაშვების კატეგორიული წინააღმდეგია. მილიონერის სურვილი და მოთხოვნა წმინდა ფინანსურ საკითხს ემყარება და არა უბრალო ახირებას. ჩემი მოთამაშეების დაშავების შემთხვევაში ვინ ამინაზღაურებს იმ ზარალს, რასაც მათი ხელფასების დაფარვაში ვნახავო, ყველას გასაგონად ამბობს მილიონერი და კალათბურთელთა სრულ დაზღვევას ითხოვს იმ ფედერაციებისგან, რომელთა ნაკრებებიც ინდიანაპოლისში ითამაშებენ.



კანცლერი გერჰარდ შრიოდერი გერმანელ კალათბურთელებში იმედიანად ჩამდგარა

ამერიკელებმა და გერმანელებმა გადაიხადეს სადაზღვევო თანხის ნაწილი. კერძოდ, გერმანელებმა კლუბ „დალას მავერიკსის" ანგარიშზე 200 000 ევრო გადარიცხეს და პირობას დებენ, ნოვიცკის დაშავების შემთხვევაში 13 მილიონ ევროს გადავიხდითო.

კუბანს ეს არ აკმაყოფილებს. ის ითხოვს იმ თანხის სრულად დაფარვას, რომელიც მან კალათბურთელებს კონტრაქტის მიხედვით უნდა ჩაუთვალოს. ეს სახუმარო თანხა არ არის. ნოვიცკის, ნეშის, ფინლისა და ლაფრენცის კონტრაქტები ჯამში 240 მილიონ დოლარს შეადგენს. კუბანს ფული ჩეჩქივით კი აქვს, მაგრამ ამ მილიონების წყალში გადაყრის პერსპექტივა არ ხიბლავს. „ჩვენი მოთამაშეები მიდიან ტრავმის მიღების მაღალი რისკის ზონაში. თუ ღმერთი გაწყრა და ოთხივე დაშავდა, კონტრაქტის მიხედვით ვალდებული ვარ, ჩვეულებრივ ვუხადო მათ ხელფასი პრაქტიკულად არაფრის სანაცვლოდ. გარდა ამისა, ისინი ჩემი გუნდის ლიდერები არიან და სხვა მოთამაშეების აყვანა მომიწევს, რომელთაც ასევე უნდა მივცე ფული. ის თანხა, რომელიც ფედერაციებმა დაზღვევის სახით გადამიხადეს, დაცინვაა. მე მოვითხოვ, მოთამაშის ტრავმის შემთხვევაში მისი ხელფასის ოდენობის თანხა ფედერაციებმა გაიღონ. თუ ისინი საჭიროდ არ თვლიან ამ რისკის დაზღვევას, მე რატომ უნდა ვიყო ვალდებული, ჩემი ფული და ბიზნესი გავრისკო?" — კუბანმა კიდევ ბევრი ილაპარაკა და არც ამერიკის კალათბურთის მამების „ტკბილად" მოხსენიება დავიწყებია, რომლებიც თურმე მას გაჩუმებას სთხოვენ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ კუბანი ნბა-ს ხელმძღვანელობასთან არცთუ მეგობრულ დამოკიდებულებაშია. ორი წლის წინ მან „დალას მავერიკსი" 280 მილიონ დოლარად იყიდა და ამ ხნის განმავლობაში ნბა-მ რვაჯერ დააჯარიმა, ჯამში 1 005 000 დოლარით. აქედან ერთ ჯერზე ნახევარი მილიონი მოდის, როცა მსაჯობაზე გადარეულმა მილიონერმა ნბა-ს მსაჯთა თავკაცი შეურაცხმყოფელად გააკრიტიკა.

მარკ კუბანი პირველია, ვინც ნბა-ელ ლეგიონერთა დაზღვევა ითხოვა. სხვა გუნდების ბოსები ჯერჯერობით მასავით ხმამაღლა არ ყვირიან, მაგრამ ისინიც, ალბათ, ისინიც მოითხოვენ იგივეს. მსოფლიოს ჩემპიონატზე 15 არაამერიკელი ნბა-ელი ითამაშებს.

ამასობაში, კუბანის ხმაურის მიუხედავად, დალასელი ბიჭები თავისას არ იშლიან და, ბოსის თქმით, ტრავმებს დაეძებენ. სტივ ნეში გამალებით ვარჯიშობს კანადის ნაკრებთან ერთად, დირკ ნოვიცკიმაც კუბანის პროტესტი ერთი ყურიდან მეორეში გაატარა და მსოფლიოს პირველობის წინ ხელ-ფეხი გაახურა. ნოვიცკის მშობლიურ გერმანიაში ჩასვლაც მოუსწრია გაგერმანელებულ ამერიკელ შონ ბრედლისთან ერთად და იქ ქვეყნის კანცლერ გერჰარდ შრიოდერსაც შეხვედრია. თქვენი იმედი აქვს ქვეყანას და, აბა, არ შეგვარცხვინოთო, დაუნამუსებია შრიოდერს ახმახი მობურთალეები.

# დეზერტირების ბაზარი

## ამერიკელებს ცეცხლგამძლე ჯიგარი აქვთ



*მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ გამზადებულმა ამერიკამ ასე გ ზადაგ ზა თუ კარგა ვარსკვლავები, 29 აგვისტოს ინდიანაპოლისში პლანეტის უძლიერეს ნაკრებებს ნბა-ში უწრთობი ნასტუდენტარი ხალხით დაუხვდება და ვინ იცის, რომელიმე მათგანთან თავიც წააგოს. ერთი კვირაც არ გასულა, რაც ჯეისონ კიდმა ნაკრებს უარი სტკიცა და ახლა იგივე გააკეთა ამერიკელთა კიდევ ერთმა პოტენციურმა ლიდერმა, მილუოკელმა რეი ალენმა*

კიდის დარად, ნაკრებიდან ამორიცხვის მიზეზად ალენმაც ტრავმა დაასახელა — მუხლი მტკივაო. თუმც მილუოკელს ნიუჯერსელ დეზერტირზე მეტი ვაჟკაცობა აღმოაჩნდა და არარსებულ ტრავმაზე ზღაპარს მოაყოლა, მინდა, თვე ან თვენახევარი კარგად დავისვენო, რათა მერე საწვრთნელ ბანაკებს გაფანტული ყურადღებით არ შევხვდე და საერთოდ, მომავალ სეზონს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან წინაში პლეი ოფში ვერ მოვხვდით და ახლაც რომ არ შევრცხვეთო. ალენი მართლა კარგად ისვენებს, ნაკრებში თამაშზე უარი მილუოკიში მიმდინარე პროფესიული გოლფის ტურნირზე გააცხადა.

რაც შეეხება ალენის შემცვლელს, მისი დასახელების შემდეგ ამერიკული კალათბურთის ბედზე ჩაფიქრებულნი კიდევ უფრო მოიღუშნენ. სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი ჯეისონ კიდი თუ ახალთაობელმა, მაგრამ მაინც ნბა-ს ვარსკვლავმა ბაირონ დევისმა შეცვალა, ალენის ნაცვლად მსოფლიოს მოიერიშე რაზმში ჩაწერილ კალათბურთელს არათუ საერთაშორისო დონეზე, საერთოდ ნბა-ში თამაშის გამოცდილებაც კი არა აქვს. ალენის შემცვლელად დასახელებულია ასევე უკანასკნელი ჯეი უილიამსი, სტუდენტური ჩემპიონატის ბოლო სეზონის საუკეთესო მოთამაშე, წლევანდელი დრაფტის მეორე ნომერი და რატომ უარვყოთ — ნიჭმომადლებული ჯეელი. მაგრამ ისიც ვიკითხოთ, რა უნდა დააკლოს ნასტუდენტარმა, ვთქვათ, დირკ ნოვიცკის ან პრედრაგ სტოიაკოვიჩს? არცთუ თამამი ვარაუდით, ბევრიც ვერაფერი. გარდა ამისა, თუკი ვინმე სხვაც კიდის და ალენის გზას დაადგება და ნაკრებს და ამერიკას ზურგს უჩვენებს, ნაკრების თადარიგიან ხელმძღვანელობას შემცვლელი უკვე გაუმზადებია — კანზასის უნივერსიტეტის ფორვარდი ნიკ კოლისონი. და იმ შემთხვევაში, თუკი ნაკრების ამჟამინდელი შემადგენლობა ერთდროულად აიტკივებს ფეხის ფრჩხილს და თმის ღერს, ნაკრების მთავარი სელექციონერი და ნბა-ს დიდმოხელე სტუ ჯეკსონი ალბათ სტუდენტებს დააჯახებს უცხოტომელებს. ხოლო სტუდენტები ევროპელებზე ძლიერები რომ არ არიან, ეს სეულის შორეული, 1988 წლის ოლიმპიადაზეც გამოჩნდა. თანაც მაშინ საკალათბურთო სამყარო ლამის პანიკურად უფრთხოდა ამერიკელებს, ნბა-ელებსაც და სხვებსაც. დანარჩენ სამყაროს ახლა ფსიქოლოგიური ბარიერი დაუძლევია და აღარცთუ ჩუმად იმუქრება კიდეც.

ვერ მოხერხდა ნაკრებში უილიამსის ჩარიცხვასთან დაკავშირებით ამერიკელთა თავკაცის ჯორჯ კარლის აზრის მოსმენა, მაგრამ კარლის საზოგადო აზრი ისედაც ცნობილია. ამას წინათ მილუოკელმა სპეციალისტმა თქვა, ნაკრებისთვის ხალხს უჩემოდ არჩევენ, მე არაფერს მეკითხებიანო. ცხადია, მას სურდა, ინდიანაპოლისში გამოუცდელი ჯეი უილიამსის ნაცვლად რეი ალენი ჰყოლოდა, რომელსაც „მილუოკიში" წვრთნის და ყველა სხვაზე კარგად იცნობს. უილიამსის მაგივრად ის, ალბათ, რომელიმე გამოცდილ ნბა-ელს, ვთქვათ, სემ კასელს ან ჯალენ როუზს დაუძახებდა, მაგრამ თვითონ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს, რადგან ასეთია ნბა-ს სტრატეგია. ამერიკელებმა ჯერ კიდევ პირველ „დრიმ თიმში", 1992 წელს, ბარსელონის ოლიმპიადაზე იახლეს სტუდენტი — კრის ლეიტნერი და ახლაც ფიქრობენ, ნბა-ს მეორეხარისხოვან ვარსკვლავებს ერთ სტუდენტს თუ შეურევენ, ამით არაფერი დაშავდება.



იყო დრო, რეი ალენი ამერიკის მაისურით კოპწიაობდა

**ირაკლი ფირაშვილი**

# დაბრუნდა ის, ვინც შავსა და თეთრს გამოარჩენს?

## სერენა მეოთხე თვეზეა



მარტინა ჰინგისი: ადგა თუ უბრალოდ დაბრუნდა?

**ROGER AT&A CUP**
მონრეალი. პარდი
საპრიზო 1,22 მილიონი $

**პირველი წრე**

**აი სუგიამა** (იაპონია) — ლაიზა რეიმონდი (15, აშშ) 6:3, 6:4; **ჩანდა რუბინი** (16, აშშ) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:4, 6:3; **ლაშარა მრენვილი** (აშშ) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) 6:2, 6:2; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — რიტა გრანდე (იტალია) 6:0, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:7 (8:10), 6:4, 6:4; **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:6 (7:4), 7:5; **მარტინა სუხა** (სლოვაკეთი) — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:2

**მეორე წრე**

**მარტინა ჰინგისი** (6, შვეიცარია) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:4, 6:3; **ამელი მორესმო** (7, საფრანგეთი) — კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი) 6:4, 6:2

საამბოლ მსურდა, რაიმე განსაკუთრებული შესავალი შემეთხზა. მაგრამ რაკილა რაც მოვიფიქრე ან ძალიან პათეტიკური იყო, ანაც ძალიან ბუნდოვანი, გადავწყვიტე, ისევ მარტივად დამეწყო:

21 წლის შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა, ხუთგზის მესლემტიტულემ და ყოველსაფრა უნივერსალისტმა, მაისში ნაოპერაციევი კოჭი მოიკეთა, დიდ კორტს მოუბრუნდა და, მართალია, იმ დღეს ღრანცულა მაგი სერნასთვის კუდუსუნით ბურთი არ უსროლინებია, მაგრამ მის ოტებას ოდენ საათზე წუთით მეტი მოანდომა და შიგადაშიგ ისეთებიც გამოურია, მხოლოდ მას რომ ჩოგანეწოფება.

მოგეხსენებათ, ორიოდ კვირაში წლის უკანასკნელი სლემტურნირი, აშშ-ის ღია პირველობა მოგველის და მონრეალურ ტურნირსაც მეჩოგნე გოგონები სწორედ საამლიაპირველობო მოთელვად მიიჩნევენ.

ტრავმის გამო წლევანდელი როლან გაროსისა და უიმბლდონის გამომტოვებ მარტინას წლის ბოლო დიდზეიმის გამოტოვება ცოცხალი თავით არ სურდა და თუმცა მონაწილეობის შესახებ თხოვნის გაგზავნა დააგვიანა, მაგრამ ნიუიორკელ მაზვშთაგან საგანგებო საშვის მიღებისა ეიმედება, რასაც როგორც 1997 წლის ჩემპიონი, ცხადია, უსათუოდ მიიღებს კიდეც.

მანამდე კი მარტა მონრეალში ჩოგნაობს და, თუკი ვინმემ სერნასთან მისი განდაგანა იხილა, დაგვერწმუნება, სასურველი ფორმისგან თუმც ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ არც ძალიან დაჟანგული ჩანს.

რასაკვირველია, ეს ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი სულაც არ იყოო, ამბობდა თავად. თუმცა მერე იმასაც დასძენდა, რომ საამერიკოდ სრულ მზადყოფნაში ვიხილავთ. რაც მთავარია, კოჭი საღობს და პირველმა გამარჯვებამაც მას თვითრწმენა ოდნავ მაინც აღუდგინა.

შეგახსენებთ, რომ ჰინგისს აღრეშაისიდან, ჰამბურგულ ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ აღარ უთამაშია. მარცხენა კოჭის დაზიანებული კვანძები მან გვიანივნისში შეიკეთა და ვარჯიშის განახლება მხოლოდ ამ თვენახევრის წინ შეძლო.

სანამ შარშან ოქტომბერში მსოფლიოს უპირველეს ჩოგანს დათმობდა, ის ჯამში 209 კვირის განმავლობაში ეპყრა. სულ 40 საერთეულო და 36 საწყვილოსნო ტიტული მოუნაგრავს, ამ სეზონის დაწყებამდე 16 მილიონ 845,441 დოლარი დაეუნჯებინა და იმავე ქრონისთვის ნათამაშებ 527 მატჩიდან მხოლოდ 90-ში დამარცხებულიყო.

მარტინა 1980 წლის 30 სექტემბერს სლოვაკურ კოშიცეში დაბადებული, მეტრსა და 70 სანტიმეტრს აითვლის და ცუგრუმელა სხეულით 59 კილოგრამი დააქვს.

ის მემარჯვენეა და როცა ხელუკუღმად გაცხება უწევს, ამას ორი შეტყუპებული ხელით აკეთებს.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, დაბრუნდა გოგო, რომელსაც ალბათ ერთადერთს ძალუძს, შავდა უილიამსების სრული დომინაცია ბოლომდე თუ არ ალმოფხვრას, ჯებირივით მაინც შეაკავოს.

ან იქნებ ეს სასურველის შესაძლებლად გასაღებაა და შავდები მარტასაც ისევე „გაასაღებენ", როგორც სხვებს?!

ვნახოთ, შავი და თეთრი „ფლეშინგ მედოუზზე" გამოჩნდება.

თუმცა, როცა მარტა გამოჩნდა, სერენამ უმალ მუხლი მოისატკივრა და ტურნირის ტრიბუნიდან ცქერა არჩია. უმცროს შავდას დასიებული კვირისტავით გაპლვიძებია და იგიც ტრავმის მეტად გამიზეზებას მოერიდა. მუხლის მყესები მას თურმე მრავალი წლის განმავლობაში აწუხებდა, მაგრამ ასეთი რამ 2000 წლის ნოემბრის მერე არ დამმართნიაო, უთქვამს.

ისე კი, სერენა შვეიცარიელი მეტოქის კორტზე დაბრუნებას გულთბილად გამოეხმაურა და შავდური სიპალალით დასძინა, რომ ეს მართლაც ძალიან კარგი ამბავია.

სხვაფრივ — სანამ ისევ უმცროს შავდას მოვუბრუნდებოდეთ, რათა მისი ივლისის საუკეთესო მოთამაშედ დასახელების თაობაზე გაუწყოთ, ერთი იმას ვიტყვით, რომ წინა კვირას ლოს ანჯელესში გაჩემპიონებულმა ჩანდა რუბინმა წარმატებით დაიწყო ტურნირი და კორტიდან რუსი ტატიანა პანოვა დაიფრინა.

და ისევ სერენაზე. ალბათ თავადაც მიხვდებით, რომ მას აღრეივლისში უიმბლდონის აოხრება დაუფასდა. ის პირველი გახდა შტეფი გრაფის შემდეგ და მეათე 1925 წლიდან, ვინაც ერთ სეზონში როლან გაროსსა და უიმბლდონზე მოჯრით გამარჯვება მოახერხა.

ეს წლეულს სერენას მეოთხე თვიური სკალპია. საუკეთესო ქალ მეჩოგნედ იგი მარტში, მაისში და ივნისშიც დასახელებულა.

**LEGG MASON TENNIS CLASSIC**
ვაშინგტონი. პარდი
საპრიზო 800 ათასი $

**პირველი წრე**

**ფერნანდო გონსალესი** (9, ჩილე) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:4, 6:3; **ტოდ მარტინი** (10, აშშ) — სტეფანო გალვანი (იტალია) 6:3, 3:6, 6:3; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — კრენტ კარლსენი (დანია) 6:3, 6:3; **გილერმო კორია** (არგენტინა) — უეინ ბლეკი (ზიმბაბვე) 7:5, 7:6 (7:2); **ლარს ბურგსმიულერი** (გერმანია) — ნევილ გოდვინი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:2

**მეორე წრე**

**ანდრე აგასი** (1, აშშ) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 6:2, 6:2; **სხენგ შალკენი** (3, ჰოლანდია) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:4; **ალექს კორეჩა** (4, ესპანეთი) — ალექსანდრ სიმონი (ბრაზილია) 4:6, 6:3, 7:6 (7:5)

ყოველგვარი წესისა და რიგის თანახმად, ამ ტურნირზე თხრობას კაცი მისი 5-გზის გამარჯვებულის წარდგენითა და პირველი მატჩის მიმოხილვით უნდა იწყებდე. პოდა, ჩვენც ის იყო, სიტყვა ანდრე აგასიზე უნდა ჩამოგვეგდო, რომ...

ქართველ ირაკლი ლაბაძეს — ვაგლახ — წილისყრამ მძლავრი საპირველწრეო მეტოქე არგო, წინასაკვირაო ცინცინატური მასტერსტურნირის ნახევარფინალისტი, ლეიტონ ჰიუიტთან ლამის ტოლსწორად ნაპაექრები და ამის შეგნებით ერთობ გაპარპაშებული ჩილელი ფერნანდო გონსალესი, ბიჭი, რომელსაც უმძლავრესი მოწოდება აქვს და მეტოქის წილ კორტს აუტანელი დარტყმებით შუშხავს.

ლაბაძის სასახელოდ უნდა ითქვას, ჯიქურ უბრძოლია და მისთვის 7 გეიმიც გამოუძალავს, მაგრამ მეტს ვერას გამხდარა და აშშ-ის ღია პირველობისთვის სამზადად ახლა სამომავალკვირო ტურნირის იმედი თუ ექნება.

ანდრე აგასის კი ვაშინგტონური მაგარსაფარი 1990, 1991, 1995, 1998 და 1999 წლებში აუკლია, ხოლო 2000 წლის ფინალში ალექს კორეჩასთან დათმო.

32 წლის არმენოამერიკელი იმედოვნებს, რომ „ღია პირველობათა ეპოქაში" მეექვსე მეჩოგნე გახდება, ვინაც დედაქალაქურ ტურნირს 6-ჯერ ან მეტჯერ დაწიოკებს.

იმ დღეს იგი იოლად მოერია ებრაელ ნოამ ოკუნს, ოღონდ რიტმის საპოვნელად მცირე გარჯა მაინც მიადგა.

დანარჩენი შეხვედრებიდან, ბუნებრივია, გამოსარჩევია ივლისში კიცბიუელში ნახეირალი ალექს კორეჩასა და ბრაზილიელი ალექსანდრ სიმონის სამსეტიანი შეხლა. კორეჩას კიცბიუელის შემდეგ ჩოგანი აღარ გაენძრია და ამიტომ გამარჯვების მისაპოვებლად ბრაზილიელთან ტაიბრეიკზე ბულრაობა მოუხდა. ბეწვზე გადავრჩიო, იძახდა მერე.

შარშანდელ ფინალში ენდი როდიკთან დამარცხებულმა სხენგ შალკენმა კი ვეტერანი ფრანგი სედრიკ პიოლინი დაიმორჩილა.

**RCA CHAMPIONSHIPS**
ინდიანაპოლისი. პარდი
საპრიზო 800 ათასი $

**პირველი წრე**

**მაქს მირნი** (10, ბელარუსი) — პოლ ანრი მათიო (საფრანგეთი) 6:2, 7:5; **არნო კლემანი** (15, საფრანგეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 7:5

**მეორე წრე**

**ტომი ჰაასი** (3, გერმანია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 7:6 (11:9), 6:3; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 3:6, 6:3, 6:3

დღის მთავარმატჩში გერმანელი ტომი ჰაასი (3) შვედ მაგნუს ნორმანს, წინა დღეს სეზონის პირველი სამაგარსაფრო შეხვედრის მომგებს ელავე-



სერენა უილიამსი მაყურებელს ტურნირის იძულებით მიტოვების შესახებ ამცნობს

ბოდა. ზორბა შვედმა გერმანელს მისი ვერც ერთი გეიმი ვერ წაართვა, სანაცვლოდ ჰაასმა ნორმანის გეიმებზეც ჩაუქად იჯომარდა და მატჩის მსვლელობისას, მიუპირდებოდა, უმალ ეისით ცდილობდა ფონს გასვლას, ისე რომ ჯამში 11 გამჭოლი მოწოდება მოაქუჩა. მხარი მაწუხებს და მთლად ჯანზე ვერც იდაყვი მაქვსო, ჩიოდა მერე.

ოღონდ იმით კი გახარებულიყო, რომ აღრეივნისში ნაავარიევი მისი მშობლები ორიოდ დღის წინ საავადმყოფოდან გამოწერილან და ამჟამად მშობლიურ გერმანიაში მყოფობენ. ახლა ვერა, მაგრამ ღია პირველობას როგორც კი მოვათავებ, ეგრევე მათთან გადავფრინდებიო, დაუძენია ტომის.

მერე კი იყო ფრანგი არნო კლემანისა (15) და ინდიანაპოლისის 1997 წლის ჩემპიონ შვედ იონას ბიორკმანის განდაგანა, რომელიც, ფრანგი რომ 6:4, 2:0 იგებდა, ორსაათიანმა კათხისპირულმა წვიმამ შეწყვიტა.

კლემანს წლეულს ნათამაშებ 37 შეხვედრაში უკვე მე-19 გამარჯვება დაუგროვდა. მაგარსაფარზე მას მარტში მაიამურ კორტზე მოგების შემდეგ აღარ ემარჯვა.

ეგ იყო და ეგ!

**ლევან ძელაურაძე**



ამელი მორესმო მონრეალში თავს საკომპიუტერო ავტორბოლით ირთობს



ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი მოთმინებით იტანს მესვირინგის შემოჭმედებას



დედობამოძალებული მარტინა ნავრატილოვა კანადელ ბავშვებს მიეფერა

## ფრენბურთი

### მსოფლიო ლიგა. 13 - 18 აგვისტო


ფრანგმა ლორენ კაპემ იტალიელებს ბურთი ჩაუგდო

# უხიფათო სახიფათოში

## ევროპელებში ბრაზილია მარტოა

**ბრაზილიაში** დაიწყო ვაჟ ფრენბურთელთა მსოფლიო ლიგის ფინალური ტურნირი. ორ ჯგუფში განაწილებული 8 ნაკრები ჯგუფებში ორ-ორ საუკეთესოს გამოავლენს და ამ ოთხეულს შორის პლეი ოფი გაზურდება. ტურნირის მომგები 500 ათასი ამერიკული დოლარით გამდიდრდება.

ცხადია, სადაც ფულია, იქ ინტრიგაცაა და მსოფლიო ლიგაც მხოლოდ გუნდების რაოდენობით თუ ჩამოუვარდება მსოფლიოს ჩემპიონატს, თორემ ევროპული და დანარჩენი კონტინენტების ბობოლები თავს არ ზოგავენ, რათა ფულთან ერთად ტურნირიც მოიგონ. ამიტომ მსოფლიო ლიგა ერთ-ერთი პრესტიჟული შეჯიბრია.

ოთხგუნდა ორი ჯგუფის ტურნირი სხვადასხვა ქალაქში ჩატარდება. F ჯგუფის მატჩებს ბელუ ორიზონტი უმასპინძლებს, E ჯგუფის ოთხეული კი რესიფიში გაარკვევს ურთიერთობას. რესიფი „ამერიკის ვენეციადაა" ცნობილი და კიდევ იმით, რომ იქ ძალიან ბევრი სინაგოგა და კრიმინალია. მილიონ 200 ათასიანი ქალაქი ამაყობს რივალდოთი, რომელიც ერთადერთი რესიფელია, პენტაკამპეონე რომ გახდა.

მართალია, რესიფიში ქურდბაცაცობა და ძარცვა-გლეჯა ჩვეულებრივი ამბავია, ტურნირის მონაწილეებს საფრთხე არ ემუქრებათ. მათ საგანგებოდ იცავენ და ისინიც მხოლოდ ბადე-ბურთაობასა და გამარჯვებულის სარგო დიდძალ მწვანეებზე ფიქრობენ.

ტურნირის პირველ დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ფავორიტებმა დამაჯერებლად მოიგეს და პირველი ქულები მიითვალეს. სხვათა შორის, ფინალურ ეტაპზე გასული 8 ნაკრებიდან ბრაზილია ერთადერთია არაევროპელთაგან. და კიდევ, გამარჯვება ძალიან უნდა რუსეთს, რომელსაც ტურნირი არასდროს მოუგია. მსოფლიო ლიგა მეცამეტედ ტარდება.

**ბაჩო სვანიძე**

| E ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი 3:0 ჰოლანდია | | | | |
| ბრაზილია 3:1 ესპანეთი | | | | |
| 1 რუსეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 2 ბრაზილია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3 ესპანეთი | 1 | 0 | 1 | 1 |
| 4 ჰოლანდია | 1 | 0 | 1 | 1 |

| F ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|
| იტალია 3:0 საფრანგეთი | | | | |
| იუგოსლავია 3:0 პოლონეთი | | | | |
| 1 იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 2 იტალია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3 საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 1 |
| 4 პოლონეთი | 1 | 0 | 1 | 1 |

## რაგბი

# გიჟი ჯერ თავისუფალია



დეივ მაკჰიუს გამლახავი პიტერ ფან ხილი თვითონაც დაზარალდა

**42 წლის** სამხრეთაფრიკელი საქმოსანი პიტერ ფან ხილი მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია. ეს ზორბა კაცი თავისი ბიზნესის გამო არ ამოუღიათ ჟურნალისტებს მიზანში: გასულ უქმეებზე მან სამი ერის სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდიის მატჩის მსაჯი, ირლანდიელი დეივ მაკჰიუ მოედანზე ისე გალახა, საცოდავი შესაცვლელი და სამკურნალო შეიქნა.

თანამედროვე დიდ რაგბიში ეს მსაჯის ცემის პირველი ფაქტია (ალავერდი საქართველოს ჩემპიონატთან). ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ვერ გაიხსენეს. ჰოდა, „როიტერით" დაწყებული, სხვა ნაკლებად ცნობილი სააგენტოებით დამთავრებული, ფან ხილზე ნადირობენ, რათა ორიოდ სიტყვა მაინც ათქმევინონ. „ძალიან ვნანობ, რაც მოხდა. ბოდიშს ვუხდი მსაჯს, ახალზელანდიელებს და, ცხადია, სამხრეთაფრიკელებს. ნერვებს აჯყვა, ახლაც ვერ გამიგია, რატომ გავლანზე მაკჰიუ. ასეთი რამ აღარ განმეორდება" — უთხრა ფან ხილმა „როიტერს".

ფან ხილი კი ინანიებს, მაგრამ აფრიკული კანონებით ხულიგნობის მუხლით ბრალდება აქვს წაყენებული. სასამართლო 9 სექტემბერს დაიწყება. მანამდე სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა ფან ხილის ფოტოები გაამრავლა და სტადიონის დაცვას დაურიგა, ეს მსაჯის გამლახავი სამხრეთ აფრიკა — ავსტრალიის მატჩზე არ შეუშვათო. ამასთან მოედანსა და ტრიბუნებს შორის გაორმაგებული ცოცხალი კედელს დააყენებენ, რათა მოედანზე მყოფნი ზეემოციური ფანებისგან მაქსიმალურად დაიცვან. ფან ხილი კი ამბობს, სანამ სასამართლო განაჩენს გამომიტანს, მანამდე ჩემიანებს ავსტრალიასთან მაინც ვუქომაგებო.

ვნახოთ, რა მოხდება.

**ბაჩო სვანიძე**

## მძლეოსნობა

# ფინეთი გერმანულ ნასუფრალზე

**ახლახან** ჩამთავრებულმა ევროპის ჩემპიონატმა ბებერი კონტინენტის ბევრ ათლეტს გააცალა სიქა და ჰელსინკის გრან პრიში მონაწილეობაზე ხელი აალებინა. სხვებს, ვინც ჩავიდნენ, აშკარად შეეტყოთ მოთენთილობა და ბევრმა უსახელოდ დაასრულა ფინური გამოსვლა, მხოლოდ ეს არამც და არამც არ ითქმის ბრიტანელ კოლინ ჯეკსონზე. 35 წლის ჯეკსონმა, ისევე როგორც მანჩესტერში, ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებზე და მიუნხენში ევროპირველობაზე, 110-მეტრიან თარეჯებით გაწყობილ ბილიკზე ჰელსინკიშიც ყველა მეტოქეს აჯობა და დღის სხვა მნიშვნელოვანი ამბები დაჩრდილა. ჯეკსონმა 110 მეტრი 13,23 წამში გაირბინა და ლატვიელ სტანისლაუს ოლიარსს 0,06 წამით გაასწრო. 13,33 წამით მხოლოდ მესამე ადგილი ერგო სახელიან ამერიკელს ალენ ჯონსონს.


კოლინ ჯეკსონი ჰელსინკის პირველობით გამოეთხოვა

მესამე ადგილმა ამერიკელი თვითკრიტიკულად განაწყო: „საშინლად ვირბინე. კარგი სტარტი მქონდა, მაგრამ პირველივე თარჯზე ცუდად ავხტი, მეორეზე უფრო ცუდად, მესამეზეც და ასე შემდეგ."

გამარჯვებულმა ჯეკსონმა კი, რომელსაც მომავალი წლის მარტში სარბენი ბილიკებიდან სამუდამოდ გადახვევა გადაუწყვეტია, სხვა ევროპელების მსგავსად, მსუბუქად, მაგრამ მაინც დაიჩივლა და გაგვახსენა, რომ მიუნხენში ორიოდ დღის წინ დიდი ჯაფა დაალგა. „მიუნხენიდან მხოლოდ სამი დღე იყო გასული და, ცხადია, დაღლილი ვიყავი. ბედად, ამან ხელი არ შემიშალა, ჰელსინკიში ჩემი ბოლო გარბენი მომეგო" — თქვა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ბევრგზის ჩემპიონმა.

სხვამხრივ, საინტერესო გამოდგა კაცთა შეჯიბრება ბირთვის კვრასა და შუბის ტყორცნაში. ერთბაშად სამმა ჯანიანმა მამაკაცმა ჰკრა ბირთვი 21 მეტრზე შორს და აქედან უმჯობესი გამოდგა ამერიკელი კევინ ტოთის შედეგი — 21,15 მეტრი. წლეულს ტოთმა პირველად წარმოაჩინა თავისი ძალა და მოხერხება ევროპულ ბირთსაკვრელზე და საკუთარი თავის კმაყოფილი დარჩა. „მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მინდა, რაც შეიძლება უკეთ და თუ შეიძლება, ბოლომდე გამოვაჩინო ჩემი შესაძლებლობები. თან ისეთი მეტოქეების დამარცხება, როგორებიც ადამ ნელსონი (21,03 მეტრი — მეორე ადგილი) და იოახიმ ოლსონი (21,00 მეტრი — მესამე ადგილი) არიან, ყოველთვის სასიამოვნოა" — თქვა ამერიკელმა.

89,98 მეტრზე გასტყორცნა შუბი და უახლოეს მდევარს ერთბაშად ლამის ექვსი მეტრი მოუგო რუსმა შუბოსანმა სერგეი მაკაროვმა. ფინურმა პრესამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსს მთავარი კონკურენტების, ორი ფინელის — აკი ფარვიანენის და ჰარი ჰაკტაინენის არყოფნამ ფრთები შეასხაო.

ქალთა შორის 400-მეტრიანი გარბენი მოიგო მოზამბიკელმა ძუ ავაზამ, მარია მუტოლამ, რომელმაც ეს დისტანცია 51,55 წამში, მეორეადგილოსან სენდი რიჩარდსზე 0,19 წამით ადრე გალია. მუტოლამ მდევრის ტაქტიკა ირჩია. პირველ 350 მეტრი მაქსიმალურად ზოგავდა ძალებს და ბოლო 50 მეტრზედა უბრძანა თავის, ქალისთვის შეუფერებლად ძლიერ კუნთებს, მაქსიმალურად სწრაფად ამუშავებულიყვნენ.

„400 მეტრი ჩემი დისტანცია არაა და ცოტა გამიჭირდა. ციურიხის ტურნირი ახლოვდება და გადავწყვიტე იქაური 800 მეტრისთვის ასე მოვემზადო" — თქვა მოზამბიკელმა. ბოლო 9 წელია, მუტოლა გამუდმებით იგებს ციურიხში 800-მეტრიან გარბენებს.

**ირაკლი ფირცხვილი**

## კრივი

# ინდური კინო მუჰამედ ალიზე

**ის ბრძოლის** წყურვილით სავსე ახალგაზრდა მოკრივეა, სახელიც კი საკადრისი აქვს —მუჰამედ ალი.

მას შემდეგ, რაც მანჩესტერში, ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებზე ინდოეთს პირველი, ისტორიული საკრივო ოქრო მოუტანა, 22 წლის მუჰამედ ალი ქამარმა კრიკეტზე შეშლილ სამშობლოში ათასობით გულშემატკივრის გული მოიგო. მას ბევრი საერთო აქვს დიად ალისთან, მასავით სწრაფია და შესანიშნავი შემტევი, მაგრამ მსოფლიოს ყოფილ სამგზის ჩემპიონისგან განსხვავებით ინდოეთის ახალ გმირს წონა არა აქვს, მსუბუქ 50-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში კრივობს.

„ალი, ალი!" ხალხი დიდხანს გაიძახოდა მის სახელს კალკუტის ღატაკ გარეუბან ეკბალპურში, როდესაც მათმა მეზობელმა ბიჭმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. ალი ეკბალპურიდანაა, მუშებით დასახლებული მუსლიმური პატარა ქალაქიდან, სადაც უკვე ყველა ბიჭმა იცის, როგორ გამოიყენოს საკუთარი მუშტი. „მან რაღაც დიდი და განსაკუთრებული გააკეთა. ის იბრძოდა მუჰამედ ალივით. მისი გამარჯვების შემდეგ ჩემი ოთხი წლი ბიჭი კრივით მოიწამლა" — ამბობს ქალაქის საავადმყოფოს მავანი მოსამსახურე.


მუჰამედ ალი — ქვეყნის თვალი

განა ყოველდღე ხდება ასეთ რამ? კრივმა ცოტა ხნით დაჩრდილა კრიკეტი. ახლა აზიის თამაშების ჯერია, შემდეგ კი, 2004 წელს ათენის ოლიმპიადაც მოდის. ამაზე ფიქრობს ალიც. „ძალიან მინდა ოლიმპიური მედალი, მაგრამ ახლა პირველ რიგში აზიურ ოქროზე ვფიქრობ" — ამბობს ის.

აზიის თამაშები სექტემბერში სამხრეთ კორეაში გაიმართება. იქ მუჰამედ ალის სერიოზული ტაილანდელი და ფილიპინელი კონკურენტები ეყოლება, იქაური მსუბუქწონიანი მოკრივეები ერთობ ძლიერები არიან. „სამხრეთ კორეაში დიდი ბრძოლები მელის. მანამდე ჩემი მონაცემები უნდა განვავითარო" — ამბობს ალი.

მაგრამ ახლა მისთვის დასვენების დროა. მანჩესტერში ინგლისელი დარენ ლანგლის დამარცხების შემდეგ იგი ამას იმსახურებს. „როდესაც მისი გამარჯვება შევიტყვეთ, სამეზობლოში ყველანი ვცეკვავდით და ერთმანეთს ვულოცავდით" — თქვა მუჰამედ საჯიდმა, აგრეთვე მოკრივემ და ალის ექვსი ძმიდან ერთ-ერთმა. „ეს იყო შვება. მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ მამაჩვენი დაიღუპა, ბევრი გაჭირვება ვნახეთ" — ამბობს ალის მეორე ძმა ხალიდ ქამარი.

ინდოეთში სპორტსმენთა უმრავლესობა მოკრიკეტეთა ღრმა ჩრდილში ცხოვრობს და ქვეყანაში ცოტაა ხეირიანი სავარჯიშო მოედნები და დარბაზები. ალისთვის გეგმა უკვე შედგენილია. შეაკეთებენ სავარჯიშო ოთახს და გამართავენ ახალ რინგს იმ კლუბში, სადაც ალი 12 წლიდან ვარჯიშობს. ცხადია, კლუბს მისი სახელი დაერქმევა.

ალის ცხონებულმა მამამ, მცირეხელფასიანმა მემანქანემ ვაჟს რომ საკრივო მონაცემები შეატყო, იქით უბიძგა, რასაც არ ალუფრთოვანებია დედამისი, შაჰნაზ ახტარი. ის დღემდე ვერ უყურებს შვილის მატჩებს. „მე არც ერთი მისი მატჩი არ მინახავს ტელევიზორში — ამბობს ქალბატონი შაჰნაზი — არ შემიძლია ვუცქირო, როგორ ურტყამენ მას მუშტებს."

ალის შესახებ მის სამეზობლოს გარეთ მანჩესტერში გამარჯვებამდე ბევრი არაფერი იყო ცნობილი. წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე ის მეოთხედფინალში გავიდა, მაგრამ ვერ მიიპყრო მედიის ყურადღება. ეს მცირედი წარმატება მას მხოლოდ იმაში დაეხმარა, რკინიგზაში, სადაც ინდოეთში ყველაზე მეტი ხალხია დასაქმებული, უბრალო სამუშაო ეშოვა და სულ ეს იყო. „ჩვენ ყოველთვის ვუჭბნებოდით ალის, მიჰყოლოდა თავის ოცნებას, მაშინ როდესაც თავად ჩვენ ოჯახებზე ვფიქრობდით. მან გააკეთა ეს, მან გაგვაამაყა ჩვენ და მთელი ინდოეთი" — ამბობს ალის კიდევ ერთი ძმა ომარი.

საერთოდ ინდოეთს მცირე წარმატებები აქვს დიდ საერთაშორისო საკრივო შეჯიბრებებზე. ინდოეთში ნაკლებად ფიქრობენ კრივზე. ოთხი წლის წინ ალივით ეროვნული გმირი შეიქნა მოკრივე ბანტამვეით ბინგკო სინგხი, როდესაც მან აზიის თამაშებზე, ბანგკოკში ჩემპიონობით დაასრულა ინდოეთისთვის უღბლო 16-წლიანი პერიოდი. მძიმეწონოსანმა სინგხმა იმდენად განიცადა ორი წლის წინ სიდნეის ოლიმპიადაზე მედლის დაკარგვა, რომ სპორტს შეეშვა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიხვეწა.

**ჯამილ ზაკირი როიტერი**

# ყოჩაღი გოგოს პარალელი



REUTERS

ექსტრემალური თამაშები გახურებულა შაქილ რივერზე, ფილადელფიაში. ეს თავზეხელაღებული გოგო წყალთხილამურობის ჩემპიონი ემილი კოუპლენდია. ჩაებმება კატარღას და მიდის, რა ილეთი გინდა, არ გამოუყვიდეს. ფოტოზე აღბეჭდილი ტრიალისას კი ის საერთოდაც წყლის პარალელურად მიფრინავს.

# პირსის წაგება

მარი პირსმა ბევრი ოფლი დაღვარა, თუმცა მაინც წააგო და კანადის ღია პირველობას პირველივე წრიდან გამოეთიშა. მისი დამმარცხებელი სლოვაკი, ჰენრიეტა ნაგიოვა, რა თქმა უნდა, გზას აგრძელებს. ზოგადად კი პირსის წაგება დიდი სენსაცია არ არის, უბრალოდ, მოხდენილი მარი ჩოგბურთის ერთ-ერთი შოუქალია და მის მიმართ გადაჭარბებული ყურადღებაც ამით აიხსნება.









# მეჯიქ-შოუ

ლოს ანჯელესში ცნობილი საკალათბურთო შოუ — შუა ზაფხულის მეჯიქ ოლ სტარზი გაიმართა. ამ თამაშს მეჯიქ ჯონსონი აწყობს ხოლმე და კოლეჯის ვარსკვლავებს ნბა-ს ვარსკვლავებთან აჯახებს. თავად მეჯიქი კოლეჯელთა მწვრთნელია და აუწერლად ხარობს, რახან კოლეჯელები სულ ბოლოწამს 139:138-ზე ამარცხებენ პროფესიონალებს. აქვე ითქვას, რომ ამ თამაშზე განთქმული რეპერი სნუპ დოგიც ყოფილა და თავის ლეიკერსულ მაისურაზე ახალგაზრდაცვლილი ლეიკერსელი გამომცხადებლის ჩიკ ჰერნის გვარი და ასაკიც დაუწერია.





REUTERS

# იყიდება!

მალე კრისტის აუქციონზე გასაყიდად გამოიტანენ ორ ისტორიულ ბურთს. მათგან ერთით 1887 წლის ასოციაციის თასის ნახევარფინალში (მარჯვნივ) უთამაშიათ, მეორით კი 1888 წლის ფინალში. ბურთების საწყისი ფასი შესაბამისად 5 და 18 ათასი გირვანქა სტერლინგია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვარტალიანი, პაატა კვარტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ჯაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელაია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge